# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 ივლისი 1999 №140 (913) | ფასი 50 თეთრი

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

## დინამო — ზიმბრუ

28 ივლისი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დღეს თბილისში ჩამოსული კიშინიოვის ზიმბრუ ხვალ არამხოლოდ დინამოს ძალას გამოსცდის, ეს იქნება იოჰან ბოსკამპის საკლუბო დებიუტი საქართველოში

## მანამდე კი ბოსკამპის ზიმბრუელი კოლეგის სემიონ ალტმანის ინტერვიუ

იხილეთ მესამე გვერდზე

## 3 ტორპედო გელა შეყილაძის ლიერსს დაუზავდა

ბოსკამპის იმედი ყიფიანთან გაფრინდა

## 6 პერუჯა დაისაჯა

INTERTOTO CUP

უეფამ „პერუჯა“ — „ტრაბზონსფორის“ მატჩის შედეგი 1:3 გააუქმა და პერუჯელებს 0:3 წაგება ჩაუთვალა

## 15 ტურ დე ფრანსი ამერიკულად დასრულდა

99 LE TOUR DE FRANCE




ლანს არმსტრონგმა ჩემპიონის ყვითელი მაისურა ოკეანისგაღმა წაიღო

## ოლიმპიური ლიცენზიები ხათუნებისგან

ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძის მერე სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზია კიდევ ორმა ქართველმა, მშვილდოსნებმა ხათუნა ქვრივიშვილმა და ხათუნა ფუტკარაძემ მოიპოვეს. ეს ამ უქმეებზე საფრანგეთის ქალაქ გიიომში, მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა.

ქვრივიშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 1322 ქულა მოაგროვა და პლეი ოფში მეოთხე შედეგით შევიდა, ფუტკარაძე — 1274 ქულითა და 27-ე ადგილით. ოცდამეთორმეტედფინალში ქვრივიშვილმა მოლდოველ სვეტლანა ლიუროვას სძლია, ფუტკარაძემ — იტალიელ ჯოვანა ალდეგანის. მეთექვსმეტედფინალში ფუტკარაძემ ინგლისელ ვილიამსონს ველარ აჯობა, ქვრივიშვილმა კი ფილიპინელ ჯენიფერ ჩანს მოუგო, მერე, მერვედფინალში გერმანელი ანკე სანდრაც ზედ მიაყოლა და ხვალ მეოთხედფინალში სამხრეთკორეელს შეხვდება. დღეს მშვილდოსნები ისვენებენ და მედლებისთვის ბრძოლას ხვალ გააგრძელებენ. გუშინ კი გუნდური შეჯიბრი გაიმართა. ჩვენმა ქალებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მეცამეტე ადგილი დაიკავეს, თუმცა მერე, მერვედფინალში ჩინეთის ნაკრებთან ვერას გახდნენ და ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

ირაკლი თავაძე

# ირვინმა აურია

## ჯიუტი ირლანდიელის ავსტრიაში გამარჯვებამ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის სიუჟეტი დეტექტივივით გაამძაფრა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

რა და როგორ იქნება, ჯერ რა დროსია, ჯერ ძნელი სათქმელია...

ეს კი უეჭველია: ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის მთავარმა მოჯანყემ და ამრევმა ედი ირვინმა პირველობისთვის ბრძოლა ერთობ გაამწვავა.

ტყუილად არ იქადნებოდა ირლანდიელი, ზოგ-ზოგზე ნაკლები არც მე ვარო.

შესწევდა თურმე საამისო ძალა.

შეიშნო ირვინმა უშუმახეროო „ფერარის“ პირველპილოტობა და აკი კვირას შპილბერგში ავსტრიის დიდ პრიზსაც გამოჰკრა ხელი.

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა გამძაფრდა, ინტერესი გაათკეცდა. ირვინი ჩემპიონატის ლიდერ მიკა ჰაკინენს კვალში ჩაუდგა და ახლა ფინელს ორი ქულითღა ჩამორჩება.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი




REUTERS

ედი ირვინმა ლაპარაკს საქმეც მიაყოლა

ემზარ ზენაიშვილი

ლინჩოპინგიდან



# როდის ვაღიარებთ ალფრედ ნობელის გამოგონებებს?

**ქართული** ფეხბურთის „მზა პროდუქცია“, რომელიც 18-წლამდელთა ნაკრების სახით წარდგა შვედეთში კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ევროპული დონისა იყოო, ნამდვილად ვერ იტყვი. ჩვენ ის ადგილი გვერგო, დღევანდელ ეტაპზე რეალურად რომ გვეკუთვნის ამ რვა ნაკრებს შორის. ირლანდიელები თამაშით კი დავჩაგრეთ, მაგრამ მათ ოთხი ქულა დააგროვეს, ქართველებმა კი მხოლოდ ერთი. ეს სამი გუნდი დაახლოებით ერთი სიძლიერის იყო.

ეს რაც შეეხება ადგილს სატურნირო ცხრილში. მაგრამ ნაკრების ამ შემადგენლობასაც შეეძლო ქართული ფეხბურთის სახე უკეთ წარმოეჩინა და იმიჯსაც გაფრთხილებოდა.

აქვე ერთსაც ვიტყვი. ხშირად ქართველი სპორტსმენების (არამარტო სპორტის სათამაშო სახეობებში) წარუმატებლობას არაობიექტური მსაჯობითა და მიკერძოებით ვხსნით. ამჯერად პოლონელი, ჩეხი და კვიპროსელი არბიტრების მიმართ საყვედურის თქმის უფლება ნამდვილად არ გვაქვს.

აუცილებლად უნდა შედგეს პროფესიული და გულახდილი საუბარი, ობიექტურად, ცივი გონებით გაანალიზდეს ნაკრების გამოსვლა შვედეთში, სპეციალისტების, მათ შორის ყველა დონის ნაკრებთა მწვრთნელების მონაწილეობით. ეს თუნდაც იმიტომ, რომ შვედეთში მოასპარეზეთა შორის იყვნენ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები, იყვნენ ისინიც, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 18-წლამდელთა ჩემპიონატის მომავალ ციკლში. უნდა ითქვას, რა გაკეთდა ნაკრების მზადებისთვის ბათუმის მატჩიდან 50 დღის განმავლობაში, გუნდის ხელმძღვანელების მიერ შედგენილი გეგმის შესრულების, აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური, ფინანსური, მატერიალური და მორალური სტიმულირების თვალსაზრისით. ეს უნდა გაკეთდეს დროულად, ევროპის ჩემპიონატზე ორი ნაკრების (16 და 18 წლამდე) მიერ. ნაჩვენები შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

თვრამეტწლამდელთა ნაკრების შვედეთში გამოსვლისას ვერც ტაქტიკური მხარე იყო სათანადო სიმაღლეზე და ვერც ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადებით დავიკვეხნით. არც ცალკეულ რგოლებში აღმოგვაჩნდა ლიდერი და არც საერთოდ, გუნდში. წამყვანი ფეხბურთელები ცუდ სპორტულ ფორმაში იყვნენ, გუნდი კი — შეუთამაშებელი.

კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ იმას, რაც არაერთხელ თქმულა სპეციალისტებისა და ჟურნალისტების მიერ — ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი დონე უკეთეს შემთხვევაში ფაქტობრივად ადგილის ტკეპნაა. და მხოლოდ ქართული ფეხბურთის წარსული დღეები და ილუზიები თუ გვამხნევებენ. რაც თავი მახსოვს, სულ ტექნიკითა და იმპროვიზაციით მოგვწონს თავი. ეს კომპონენტები ხელიდან თუ არ გამოგვცლია, ყოველ შემთხვევაში, სატრაბახო არაფერი დაგვრჩა.

მიმაჩნია, ადგილები ჩვენს ჯგუფში მთლად ობიექტურად როდი განაწილდა. უფრო უპრიანი იქნებოდა ესპანელები ირლანდიელების ადგილზე ყოფილიყვნენ. არ შევუდგები ესპანელებთან თამაშის დაწვრილებით აღწერას — ვინც არ დაიზარებს და წინა ოთხშაბათის „სარბიელში“ კიდევ ერთხელ გადახედავს იტალიელებთან მატჩის ანგარიშს, ჩათვალოს, რომ ამჯერადაც დაახლოებით იგივე უნდა დაგვეწერა. ეს კია ბოლო მატჩში ჩვენებმა უფრო აქტიურად ითამაშეს შეტევაში და ერთი-ორი გოლიც უნდა გაეტანათ. მაგალითად, მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ იმედაძეს და მერე მიქაძეს. სხვათა შორის გია იმედაძეს პირველი მატჩის შემდეგ არაფერი გაუუმჯობესებია.

დაცვაში თამაშისა კი რა მოგახსენოთ... ირლანდიელებთან მატჩის რეპორტაჟის დროს ვწერდი, ვილაც მოკვდამეთქი „შაიბუ-შაიბუს“ ძახილით; ეს „ვილაც“ მოსკოვის „ტორპედოსა“ და სსრკ ნაკრების ყოფილი წევრი სერგეი პრიგოდა აღმოჩნდა, რომელიც უკვე ათი წელია, შვედეთის ერთ-ერთ კლუბში მუშაობს ჭაბუკებთან და ქვეყნის ფედერაციის კონსულტანტიცაა იუნიორებთან მუშაობის საკითხში. სწორედ მისი, ყოფილი მცველის, სიტყვებია — ასეთი დაცვით სერიოზულ შედეგზე ფიქრი შეუძლებელია, თქვენს გუნდში ყველაზე სუსტი რგოლი სწორედ დაცვა იყო. 4 გატანილი და 9 გაშვებული გოლიც ამაზე მეტყველებს.

ნახევარდაცვაში პირველ რიგში დაცვასთან ურთიერთობისას პრობლემები იყო. ამასთან ორივე წაგებულ მატჩში შუახაზმა აშკარად დათმეს მოედნის ცენტრი. თავდასხმაში გიორგი იმედაძე და გიორგი მიქაძე ერთმანეთს კი არ ავსებდნენ, არამედ თამაშის მანერით ერთმანეთს იმეორებდნენ. არადა სასურველია, ერთ-ერთი საჯარიმოში „ფეთქებადი“ ფორვარდი ყოფილიყო. და მაინც, თუ ჩვენს გუნდში ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს ზურაბ მენთეშაშვილია, რომელიც ერთხელ „მატჩის ფეხბურთელად“ სცნეს და რომელმაც სამივე შეხვედრა მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩაატარა, მაგრამ გუნდის ლიდერის ფუნქციის შესრულება კი ვერ შეძლო. გამოვყოფდი აგრეთვე ვალერი გაგუას, რომლის ანგარიშზე სამი გოლია (ჩვენების მიერ გატანილი ოთხიდან).

...შვედეთში ერთი ტბაა — სტურშიონი, სადაც გადმოცემით დღემდე ურჩხული ცხოვრობს და რომლისაც შვედებს თავად ეშინიათ და სხვებსაც აშინებენ. ჰოდა, ასე მოუვიდათ ჩვენებსაც პირველ მატჩში. იტალიელებთან ჩვენები იყვნენ დამფრთხალნი და შეშინებულნი. შეშინებულის მორევა კი მთლად ძნელი რომ არ არის, ფაქტია. ბოლო მატჩში ჩვენებით ესპანელები იყვნენ შეშინებულნი და დამფრთხალნი. მათთვის პრესტიჟის საქმე გახლდათ ქართველებთან მოგება. ესეც არ იყოს, 16-წლამდელებში ევროპისა და 20-წლამდელებში მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონებს — მათ შუა ასაკში, ცუდი გუნდი რომ არ ეყოლებოდათ, ესეც ფაქტია. პირველი ნახევარი საათი ელოდნენ ესპანელები „ბუას“ ქართველების სახით, ფრთხილობდნენ, დაბნეულებიც იყვნენ — პირველად ბურთს ზურაბ ბათიაშვილი 25-ე წუთზე შეეხო. მერე რა! „გამარჯვებულის მანტიამოსხმულის“ განწყობამ, მოშვებულობამ და თვითდაჯერებულობამ თავისი გაიტანა.

იმასაც შევნიშნავ — ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე კორექტული იყო მოედანზე ერთ ყვითელ ბარათს დავჯერნდებოდით, რომ არა ესპანელებთან მატჩის მიწურულს მეტოქის საჯარიმოში გია იმედაძის თეატრალური „დაცემა“ ტრაგიკული შეძახილით და კვიპროსელი არბიტრის მყისიერი რეაგირება — ბარათი რომ აუფრიალა ჯერ კიდევ წაქცეულს.

შვედი ალფრედ ნობელის გამოგონებიდან ყველაზე ცნობილი და აფეთქებული დინამიტი გახლდათ. საქართველოს ნაკრებმა ვერ შეძლოს შვედეთში საფეხბურთო დინამიტის აფეთქება არც ოსტატობა ეყო და არც დენთი.

ჩავთვალოთ, რომ ევროპის საფეხბურთო ასპირანტურაში მოსახვედრად ჩვენი ნაკრების წევრებმა შვეციაში სამი საგამოცდო ბილეთი აიღეს. მკაცრმა ექსპერტებმა ერთი ჩაიბარეს, ორიც კიდევ გადაუტანეს ჩვენებს.

ეს არაფერი. 18-19 წლის ჭაბუკებს წინ არაერთი გამოცდა ელით ყველა დონეზე და ნიშნებსაც უკეთესს მიიღებენ.

დაბოლოს, ხაზგასმით მინდა გავიმეორო — ტრაგედია არ მომხდარა. ვახტანგ კოპალეიშვილმაც და მისმა ნაკრებმაც უდავოდ დიდი საქმე გააკეთეს — ფინალში იასპარეზეს. შვიდმატჩიანი ციკლის გამოცდილება ფეხბურთელებსაც გამოადგებათ და მწვრთნელებსაც.





პორტუგალიელი პედრო ფელიპე ჩემპიონის თასით



ვალერი გაგუა
სამი გოლით ჩემპიონატის
საუკეთესო ბომბარდირი გახდა



ზურაბ მენთეშაშვილმა (№6) ქართველთაგან მეტ-ნაკლებად ყველაზე სტაბილურად ითამაშა

## ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი

### B ჯგუფი

III ტური

ოტვიდაბერგი 23 ივლისი
კოპარვალენი (255 მაყურებელი)

**საქართველო 1:4 ესპანეთი**

0:1 კამაჩო (34?), 0:2 ნავას გონსალესი (51), 0:3 კამაჩო (57), 1:3 გაგუა (65?), 1:4 მიგელ გარსია (90)

**საქართველო:** ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი (დევიძე 74), ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, აბრამიძე, ზ. მენთეშაშვილი, დილმელაშვილი, ო. გველესიანი (ჯ. მუჯირი 35), გ. მიქაძე (გოცირიძე 68), იმედაძე, ვ. გაგუა

**ესპანეთი:** დანი, პატო ბერნალი, დელ ჰორნო (გარსია ხარო 80), მუნიოსი (მიგელ გარსია 67), კამაჩო, სანტამარია, რაფაელი, ნავას გონსალესი, (მარიო 67), სანჩესი, რობერტო

**გაფრთხილება:** სანჩესი (43), აგანსო (52), ნავას გონსალესი (62), პატო ბერნალი (82), იმედაძე (85)

**მსაჯი:** კ. კაპიტანისი (კვიპროსი)

ნორჩოპინგი 23 ივლისი
იდროტსპარკენი (745 მაყურებელი)

**ირლანდია 0:2 იტალია**

0:1 გრაფიედი (71), 0:2 მარესკა (90)

**ირლანდია:** დ. დილანი, გევინი, კლარკი, ოჰალორანი (ბარეტი 70), პ. მერფი, მილერი, კროსლი, ჰელი (ოგრედი 82), პარტრაიჯი, დოჰერტი, ბეკერი (დრუ 61)

**იტალია:** ბაგეაკანი, კასელი (ტური 46), კოლუჩი (ბლასი 84), ფაბრისი, ფისორე, გრაფიედი (ლაძარო 87), ლაძერი, მარესკა, ოლივი, პინცი, სემიოლი

**გაფრთხილება:** პინცი (13), კლარკი (33), ბეკერი (61), ბარეტი (87)

**გაძევება:** მილერი (66)

**მსაჯი:** ვ. სტარკი (გერმანია)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

### მატჩი III ადგილისთვის

ლინჩოპინგი 25 ივლისი
ფოლკუნგავალენი (1 283 მაყურებელი)

**საბერძნეთი 0:1 ირლანდია**

0:1 დილანი (47)

**საბერძნეთი:** ა. პაპადოპულოსი, ხორიანოპულოსი, ტავლარიდისი, ნასტოსი, ვენეტისი (თეოდორიდისი 67), იორდანიდისი, ხარისტიასი (მუტიდისი 54), ვაკუპცისი, სიამპანისი, დ. პაპადოპულოსი (გოგასი 70), ტარალიდისი

**ირლანდია:** ჯ. მერფი, კ. დილანი, გევინი, კლარკი, ოჰალორანი, კროსლი, ჰელი, პარტრაიჯი, დრუ (ბეკერი 62), დოჰერტი, ბარეტი

**გაფრთხილება:** გოგასი (84)

**მსაჯი:** ლ. პუჩეკი (ჩეხეთი)

26 ივლისი
ფინალი

**პორტუგალია 1:0 იტალია**

1:0 ჟოაო პაულო (33)

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვალერი გაგუა (საქართველო) | 3 |
| მატია რინალდინი (იტალია) | 2 |
| ფრანკო სემიოლი (იტალია) | 2 |
| მატია გრაფიედი (იტალია) | 2 |
| ჟოაო პაულო (პორტუგალია) | 2 |
| დავიდე აგანსო (ესპანეთი) | 2 |
| ხუან ხოსე კამაჩო (ესპანეთი) | 2 |

# როცა ზიმბრუ ნისტრუ იყო

## სემიონ ალტმანმა ფეხბურთი შეგვიძქო და საკუთარ გასაჭირზე შემოგვჩივლა

*ერთი უჟმური, სიტყვაძუნწი კაცია სემიონ ალტმანი, იცოდეთ, ჟურნალისტებთან ურთიერთობასაც ერიდება. სცადეთ, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ, „ზიმბრუს“ მწვრთნელმა ყურმილი რომ დაგიხეთქოთ, ისე, სხვათა შორის გვითხრა „ზიმბრუ“-„სენტ პატრიკზის“ საპასუხო მატჩის შემდეგ ჩვენმა მოლდოველმა კოლეგამ.*

*— ...დიახ, გისმენთ, საქმის კურსში ვარ, გადმომცეს, რომ თბილისიდან მირეკავდნენ. სემიონ ალტმანი გახლავართ.*

*— ძალიან სასიამოვნოა. სპორტული გაზეთი „სარბიელი“ გაწუხებთ. ინტერვიუ უნდა გთხოვოთ...*

*— გისმენთ, ოღონდ გამიმეორეთ, რომელი გაზეთი?*

*— „სარბიელი“.*

*— ეგ რას ნიშნავს, რუსულად როგორ გამოითქმის?*

*... ვერ ვიტყვით, რომ კიშინიოვის „ზიმბრუს“ მწვრთნელ სემიონ ალტმანს თბილისური ზარი ესიამოვნა, მაგრამ ისიც თავიდანვე გვარგძნობინა, პირში წყლის ჩაგუბებას არ ვაპირებო, ეგ კი არა, ლაპარაკს როცა შევყევით, კინაღამ აქეთ მთხოვა ინტერვიუ, „დინამოზე“ ძალიან მცირე ინფორმაცია მაქვს და დამეხმარეო. მეც რა ჩიტი ვიყავი, ავყოლოდი?..*

*ერთი სიტყვით, საუბარი შედგა.*

*თბილისში წამოსასვლელად აბარგებულმა „დინამოს“ ხვალინდელი მეტოქის, კიშინიოვის „ზიმბრუს“ მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა „სარბიელის“ კითხვებს უპასუხა.*

*ჩვენც პირველად იმით დავინტერესდით, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სემიონ ალტმანი „დინამოსთან“ მატჩების შემდეგ „ზიმბრუს“ სტოვებდა და სამუშაოდ სამშობლოში, უკრაინაში, ბრუნდებოდა, თუ არა.*

**— მართალია? თქვენზე თქვეს, „ზიმბრუდან“ მიდისო.**

— მოდით, ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ. მივდივარ კლუბიდან, თუ არა, ეს ჩემი საქმეა. ნურც თქვენ დაინტერესდებით. ყოველ შემთხვევაში, ერთს კი გეტყვით, „დინამოსთან“ ორივე მატჩში „ზიმბრუს“ მე ვუხელმძღვანელებ. მერე ვნახოთ.

*ეს „ვნახოთ“, როგორც ალტმანმა მოლდოველ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე განუცხადა, თურმე ჩვენებურებთან თამაშის შედეგზე ყოფილა დამოკიდებული და, თუ „ზიმბრუმ“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე გააღწია, შესაძლებელია, ალტმანი კიშინიოვურ გუნდში დარჩეს. „დინამოს“ ძლევის შემდეგ, „ეინდჰოვენთან“ წაგების შემთხვევაშიც, „ზიმბრუს“ ევროსარბიელზე თამაშის უფლება ექნება — მოლდოველები უეფას თასზე გადაინაცვლებენ. კლუბის უფროსობას კი მიზნად სწორედ ეს დაუსახავს.*

*თუმცა რა დროს ეგაა, დინამოელებსაც და ჩვენც ხომ ამისი გაგონებაც არ გვსურს...*

*ალტმანსაც აღარ ჩავძიებივართ.*

**— „დინამოზე“ რას იტყვით? რა აზრის ბრძანდებით?**

— აბა, როგორი აზრის უნდა ვიყო? კენჭისყრისას არ გაგვიმართლა, ორსამ გუნდს შორის, რომელთა მეტოქეობაც არ გვსურდა, თბილისის „დინამოც“ იყო. ძალიან კარგად ვიცი ქართული ფეხბურთის ძალა, რაც საკუთარ თავზეც არაერთხელ გამომიცდია. სხვა რა გითხრათ, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ წყვილში აშკარა ფავორიტი „დინამოა“.

**— ისე ამბობთ, თითქოს წაგებას უკვე შეგუებულნი იყოთ.**

— შეგუებულნი არა, მაგრამ მოგების მცირე იმედი კი გვაქვს? თანაც ყველაზე ცუდი ისაა, რომ დღევანდელ „დინამოზე“ ფაქტობრივად არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. უამრავი ნაცნობ-მეგობარი შევაწუხეთ, მაინც არაფერი გამოგვივიდა. თქვენ წარმოიდგინეთ, დინამოელების სრული სტატისტიკური მონაცემებიც კი ვერ შევიტყვეთ. ახლა იმედად ისევ „დინამო“ დაგვრჩენია, ვთხოვთ და იქნებ რაიმე გამოგვიგზავნონ.

**— საერთოდ არ გაქვთ მეტოქეზე წარმოდგენა?**

— ზოგადად ვიცი ქართველები როგორ ფეხბურთსაც თამაშობენ, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა „დინამო“ ბევრად განსხვავდება სხვა თქვენებური გუნდებისგან. უცხოელი მწვრთნელი, ალბათ, მას თავის ხელს დაატყობდა. დინამოელთა თამაში ბოლოს სამი წლის წინ, მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ ვნახე. მაშინ თბილისელებს შესანიშნავი გუნდი ჰყავდათ.

**— თქვენს გუნდზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.**

— ბევრი მართლაც არაფერი მაქვს სათქმელი. „ზიმბრუ“ ახალგაზრდული გუნდია, გვყავს რამდენიმე ვეტერანი, რომლებსაც თავის დროზე საქართველოშიც უთამაშიათ. ძირითადად მათზეა აწყობილი ყველაფერი, ისინი ჯერაც გამოუცდელ თანაგუნდელთათვის სამაგალითონი არიან. მეკარე რომანენკო, ტროპანეცი, ოპრია, ტელესნენკო... მათგან ახალგაზრდები ბევრს სწავლობენ.

**— რატომღაც სერგეი კლეშჩენკო არ გიხსენებიათ.**

— მართალია, იგი უეფას განაცხადში შევიყვანეთ, მაგრამ თითქმის გამორიცხულია, „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშოს. კლეშჩენკო ამჟამად ისრაელშია და რომელიღაც იქაურ კლუბთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. თუ თბილისში წამოსვლამდე კიშინიოვში ჩამოგვისწრო, ანაც საპასუხო მატჩამდე, ხომ კარგი, ითამაშებს, თუ არადა, სხვა რა გზაა, უმისოდ მოგვიწევს „დინამოსთან“ დაპირისპირება.

**— ადრე „ზიმბრუ“ მოლდოვის ნაკრების საბაზო გუნდი იყო და მაშინ საქართველოს ნაკრები მოლდოველებთან ორჯერ დამარცხდა. თანაც „ზიმბრუ“, ყოფილი „ნისტრუ“, ქართული გუნდებისთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე გახლდათ. ახლა რატომ ხართ ასე პესიმისტურად განწყობილნი?**

— ჯერ ერთი, მოლდოვამ საქართველო ორჯერ რომ დაამარცხა, მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მომდევნო შესარჩევ ციკლშივე საქართველომ რევანში აიღო, მოლდოველებს შინ და სტუმრადაც აჯობა. იგივეს ვიტყვი იმ დროზე, როცა „ზიმბრუ“ „ნისტრუ“ იყო. დღეს კი სხვა ვითარებაა, ამჟამინდელი გუნდიდან ნაკრებში სამი ფეხბურთელი თამაშობს. „ზიმბრუ“ ამ ხნის მანძილზე კურტიანუმ, რებეჟამ, ტესტიმიცანუმ დატოვეს, გუნდმაც დიდი ძალა დაკარგა. კლეშჩენკოც დაუმატეთ ამათ. ღირსეული შემცვლელები ჯერაც არ გამოუჩნდათ. ამიტომაც გეუბნებით, „დინამოს“ დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება.

**— ირლანდიური „სენტ პატრიკზი“ კი გაანადგურეთ და...**

— აბა, მათი „დინამოსთან“ შედარება იქნება?

**— ორი მატჩის ჯამში თქვენი 10:0 გამარჯვება ლოგიკური იყო?**

— ცოტა გაგვიმართლა. დუბლინში რომ ჩავედით, მასპინძლები ქედმაღლურად გვიყურებდნენ, ეტყობოდათ, რომ გამარჯვებაში დარწმუნებულები იყვნენ. კიშინიოვში კი ირლანდიელებზე მაღალმა ტემპერატურამ იმოქმედა, 40 გრადუსამდე სიცხე იყო. ისე მოითენთნენ, ლამის მინდორზე დაეძინათ. მიჭირს თქმა, რომ ძალთა თანაფარდობა ანგარიშში აისახა.

**— „ზიმბრუს“ სიძლიერე რაში გამოიხატება?**

— ალბათ, გუნდურ თამაშში. სხვას საკუთარ გუნდზე არაფერს გეტყვით. ისე, სათქმელიც მეტი არაფერი მაქვს. „ზიმბრუს“ რომ ქართველების მსგავსი ინდივიდუალისტები მისცა... ეეჰ, სად არის თორემ... ქართველებს ძალიან ტექნიკური ფეხბურთელები გყავთ.

**— „ზიმბრუს“ ნაკლი რა არის?**

— თუ შეიძლება ნაკლად ჩაითვალოს — გამოუცდელობა. როგორც გითხარით, გუნდში ბევრია ისეთი, საერთაშორისო მატჩებში წლეულს პირველად რომ ითამაშეს, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ, ღირსეულად ვითამაშოთ. სხვანაირად არც შეიძლება, „ზიმბრუს“ მეტოქე ხომ თბილისის „დინამოა“, გუნდი, რომელიც ყოველთვის მიყვარდა, მსიამოვნებდა მათი თამაშის ხილვა.

**— კარგია, „დინამოს“ მიმართ ასე სიმპათიურად რომ ბრძანდებით განწყობილი...**

— როგორ შეიძლება კაცს „დინამოს“ თამაში ნანახი ჰქონდეს, მათ წინააღმდეგ ითამაშოს და თბილისელებზე სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდეს? სხვამ თუ არა, მე ძალიან კარგად ვიცი როგორი ტრადიციები გაქვთ, როგორ თამაშობდნენ თქვენი დინამოელები — მესხი, მეტრეველი, სხვა მრავალი, ფეხბურთელობის დროს მათი მეტოქეც ვყოფილვარ. ახლა კი ბედნიერი კაცი ვარ, მათ სამშობლოში ჩამოსვლა და „ზიმბრუს“ დარიგება რომ მომიწევს „დინამოს“ წინააღმდეგ.

**— გმადლობთ და დამშვიდობებამდე ერთსაც გკითხავთ. უკრაინელმა კაცმა მოლდოვური კლუბის გაწვრთნა რატომ გადაწყვიტეთ?**

— ცხოვრებამ ასე მოიტანა. უკვე მესამე წელია, „ზიმბრუს“ მწვრთნელი ვარ. მგონი, საქმესაც კარგად ვაკეთებ.

**— ამას მოლდოველებიც ამბობენ. საუკეთესო მწვრთნელადაც მიაჩნიხართ.**

*მართლაც ჩვენმა იქაურმა კოლეგამ გვითხრა, სემიონ ალტმანი მოლდოვაში საუკეთესო მწვრთნელია, დანარჩენებზე ბევრად უკეთესიო.*

**კობა ინასარიძე**

# იოჰან ბოსკამპს თვისტომენი დაზვერავენ

ხვალინდელი დღეც და საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საუკუნის ბოლო გათამაშებაში ჩაერთვება. „დინამოს“ პირველ მეტოქეს წარდგენა, ალბათ, არ სჭირდება — მოლდოვის ჩემპიონი კიშინიოვის „ზიმბრუ“.

ერთი შეხედვით, „დინამოს“ არ უნდა გაუჭირდეს მოლდოვური ბარიერის ორი მატჩის ჯამში დაძლევა, მაგრამ მოლდოველები რომ ჩვენში არასასურველი მეტოქის ასოციაციას იწვევენ, ფაქტია. ამას ისიც ემატება, რომ „ზიმბრუმ“ ჩემპიონთა ლიგის წინა შესარჩევ ეტაპზე ჩრდილოირლანდიური „სენტ პატრიკზი“ ორი მატჩის ჯამში 10:0 დაანგრია.

ერთი სიტყვით, „დინამოს“ „ზიმბრუსთან“ იოლი გასეირნება ნაღდად არ ელის. ჩვენ კი ვიმედოვნებთ, რომ იოჰან ბოსკამპის მიერ მომზადებული ჩვენებურნი კიშინიოველებს არ დაეჩაგვრინებიან და ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენსაც“ ქართველები შეეტოქებიან.

ხვალინდელი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და კიშინიოვის „ზიმბრუს“ შორის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საღამოს 7 საათზე დაიწყება.

უეფას გადაწყვეტილებით, ამ მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. არბიტრ დიტმარ დრაბეკს ასისტენტობას ჰარალდ დენტნერი და მანფრედ ლაიდმაიერი გაუწევენ, სათადარიგო კი ჰანს ბიგმანი იქნება.

მატჩის დელეგატობა წარსულში კიევის „დინამოს“ სახელგანთქმულ მეკარეს, ახლა კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვიქტორ ბანიკოვს დაეკისრა. სხვათა შორის, ამ მატჩს ჰოლანდიელი მზვერავებიც დაესწრებიან. „პსვ ეინდჰოვენის“ ბელგიელმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა ქვეშევრდომთ დაავალა, ორივე გუნდი კარგად დამიზვერეთო.

მოგეხსენებათ, „დინამოს“ ხელმძღვანელობას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობა ამოუჭრია გულში. ამისთვის ჯერ „ზიმბრუ“ უნდა მოვინელოთ, შემდგომ კი ჰოლანდიური გრანდი — „პსვ ეინდჰოვენი“.

სრულებით არაა გამორიცხული, „ზიმბრუს“ ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, „პსვ ეინდჰოვენი“ უკანასკნელი აღმოჩნდეს, რომელსაც ეროვნულ სტადიონზე მოუწევს განავარდება, მიზეზი — ქვეყნის უმთავრეს სარბიელზე მხოლოდ 20 000 ინდივიდუალური სკამია დამონტაჟებული, უეფა კი ითხოვს, სასწრაფოდ სკამები გააკეთეთ, თორემ ვერ ითამაშებთო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ეროვნულ სტადიონს პატრონი არ ჰყავს და ისევ ბედის ანაბარადაა მიტოვებული. აქედან გამომდინარე, ვინძლო „ეინდჰოვენის“ შესაძლო სტუმრობა უკანასკნელიც კი აღმოჩნდეს თბილისში.

**გიორგი მაზაძიძე**

# ლინფილდი ბოლოა

შაბათს უეფას თასის საკვალიფიკაციო წრეში თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქე „ლინფილდმა“ „ბელფასტ ჩელენჯის“ ოთხთა ტურნირზე მეორე და ბოლო მატჩი გამართა. „ლინფილდის“ მოწინააღმდეგე ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონი, ბელფასტისვე „გლენტორანი“ გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ შეხვედრაში „ლინფილდმა“ ინგლისურ „ლივერპულთან“ 0:4 წააგო. ამჯერად კი ფრედ 2:2 ითამაშა, თუმცა ბოლო წუთამდე აგებდა.

საერთო სურათი ასეთი იყო — „გლენტორანი“ უკეთესი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მინდორზეც უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მე-13 წუთზე „ლინფილდის“ საუკეთესო მეგოლე დეივი ლერმურმა კაპიტან ნოელ ბეილის თავური გადაცემა გამოიყენა და ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ლინფილდის“ მეკარე რობერტ რობინსონმა, რომელსაც მეტსახელად „გუსის“ ეძახიან, საჯარიმოდან დარტყმული ურთულესი ბურთი მოიგერია. თუმც გლენტორანელმა სტიუარტ ელიოტმა საპასუხო შეაგდო. მერე ისევ ლერმურს მიეცა ჩინებული შანსი, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ხელში მისცა. მე-80 წუთზე დევიდ რეინიმ „გლენტორანი“ დააწინაურა. მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, როცა „ლინფილდის“ ახალბედა პორტერმა, რომელმაც „ლივერპულიდან“ წინა თამაშში საკუთარ კარში გაიტანა, 90-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

იმავე დღეს „ლივერპულმა“ როტერდამის „ფეიენოორდს“ 2:0 მოუგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა. „ლინფილდმა“ კი ბოლო ადგილი დაიკავა. დღეს „ლოკომოტივის“ მეტოქე ამხანაგურ მატჩში ირლანდიურ „დანდალკს“ უმასპინძლებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ტორპედო ლიერსს დაუზავდა

ჰოლანდიაში ორკვირიან შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. ქალაქ სიტარდის სპორტულ ცენტრში დაბანაკებული საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი, როგორც დაგეგმილი იყო, გელა შეყილაძის ბელგიურ „ლიერსს“ დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგური გახლდათ, პრინციპულ ხასიათს ატარებდა. „ტორპედოს“ დარად „ლიერსმა“ წლეულს ქვეყნის თასი მოიპოვა და უეფაზე წარმატებისთვის გამალებული ემზადება. ბელგიელებს ახალი სეზონი კარს მოსდგომიათ. 6 აგვისტოდან იქაური ჩემპიონატი იწყება.

ყოველივეს გათვალისწინებით, „ლიერსი“ საბრძოლო შემადგენლობით წარუდგა ქუთაისელებს. ბელგიის თასის ფინალში შეყილაძის გუნდმა ლიეჟის „სტანდარდს“ 3:1 რომ სძლია, იმ შეხვედრაში გუნდის ცამეტმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ათმა „ტორპედოს“ წინააღმდეგაც ითამაშა. საფინალო შემადგენლობიდან „ლიერსს“ სამი წევრი აკლდა — მეკარე სტენლი მენცო, რომელიც „აიაქსში“ დაბრუნდა, „ანდერლეხტში“ გადასული მცველი ბროკენი და შუახაზელი ლერემანსი.

ანგარიში მე-12 წუთზე ტორპედოელმა დავით ჯანაშიამ გახსნა. მეორე ნახევარში შეყილაძის თანაგუნდელებმა წონასწორობა აღადგინეს. 73-ე წუთზე დამსმა გამოიჩინა თავი და შეხვედრაც 1:1 დამთავრდა. გელამ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა. იგი „ლოკერენიდან“ შემატებულმა სონქსმა შეცვალა.

მორიგ საკონტროლო თამაშს „ტორპედო“ 31 ივლისს გამართავს. მისი მეტოქე ინტერტოტოს თასის შარშანდელ გათამაშებაში ქუთაისელთა გამამწარებელი, ზამთარში კი ამხანაგურ მატჩში თბილისის „დინამოს“ 3:0 მძლეველი, ბელგიური „ლომელი“ იქნება.

და კიდევ... გუშინ ჰოლანდიაში გაემგზავრა ტორპედოელი გია იმედაძე — შვედეთის ევროპის ჩემპიონატიდან რატომღაც საქართველოში დაბრუნებული, 18-წლამდელთა ნაკრების წევრი. როგორც იცით, იგი პირდაპირ სიტარდში უნდა გაფრენილიყო შვედეთიდან და თანაგუნდელებს შეერთებოდა, მაგრამ... ამ ბიჭზე კარგა ხანია, იოჰან ბოსკამპს უჭირავს თვალი და იმედაძის გადაბირებით „დინამოს“ გაძლიერების იმედი აქვს. თუმცა ბოსკამპის სურვილი ჯერჯერობით სურვილად რჩება. მისი იმედი „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ დავით ყიფიანთან აფრინა.

**ხვიჩა სანიძიძე**

# ხურცილავა დევაძის ძებნაშია, კაკო კი ებრაელებს ებრძვის

თბილისის „დინამოს" ჰოლანდიელ მწვრთნელ იოჰან ბოსკამპს „დინამოს" ჰოლანდია-გერმანიაში შეკრებისას მოუთხოვია, მეკარე აკაკი დევაძე ჩამომიყვანეთო. ამის მერე ხელისშემშლელი თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიც იყო დევაძის დინამოელობა და იმედიც გაჩნდა, მორჩა, ჩემპიონმა მეკარის პრობლემა სასიკეთოდ გადაწყვიტაო, მაგრამ...

„დინამოს" ერთ-ერთი ამხანაგური მატჩისას ბოსკამპს დევაძის მზადყოფნა არ მოსწონებია, ფორმაში არააო და კაკოც იძულებული გამხდარა, „დინამო" დაეტოვებინა. არადა, ახლო წარსულში საქართველოს ეროვნული ნაკრების საიმედო მეკარე თავის უკვე ყოფილ გუნდში, აშდოდის „ირონშიც" კი ჩავიდა, გუნდიდან წამოსასვლელი ფორმალობებიც მოაგვარა, თუმცა... მერე რაც მოხდა, უკვე მოგახსენეთ.

დღეს აკაკი დევაძე უქმადაა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰაერშია გამოკიდული, თუმცა შესაძლოა უახლოეს მომავალში მის უქმად ყოფნას წერტილი დაესვას. შევიტყვეთ, რომ თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას უეფას თასისთვის დევაძის ხელში ჩაგდება სურს, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ლაპარაკის დონეზეა. მოუცლელობისა თუ „ლოკომოტივის" ყვავილნარში ყოფნის გამო ხურცილავა და დევაძე ერთმანეთს არ შეხვედრიან. ისე, გულგრილი არც კაკო ჩანს:

— მეც გავიგე, რომ ხურცილავას ჩემი გუნდში აყვანა სურს. სიმართლე გითხრათ, „ლოკომოტივში" თამაშის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ შესაძლოა ფინანსურმა პრობლემამ შემაფერხოს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ყოფილი კლუბი, აშდოდის „ირონი" ჩემში საქართველოს კვალობაზე საკმაოდ სოლიდურ თანხას, 100 000 დოლარს ითხოვს. „ირონთან" 2+2 სისტემით მქონდა კონტრაქტი გაფორმებული. ორი სეზონი სრულად გაილია და აშდოდელებს, წესით, არანაირი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. გავაგრძელებ თუ არა მათთან კონტრაქტს, ეს უკვე ჩემი ნებაა და ამიტომ ცოტა გაუგებარიც კია, რატომ ითხოვენ საკომპენსაციო თანხას. ახლა ისრაელში მივდივარ ამ [illegible] მოსაგვარებლად, თან იქ [illegible] ნივთებიც უნდა [illegible]. თუმცა შესაძლოა ისრაელში დავრჩე, ოღონდ სხვა კლუბში. თუ აქედან არაფერი გამოვიდა, სხვა რა გზა მაქვს, შევხვდები ხურცილავას და იქნებ „ლოკომოტივში" ვითამაშო.

თუ მურთაზ ხურცილავამ საწადელი აისრულა, მაშინ „ლოკომოტივს" მეკარეთა პრობლემა ალბათ ნაკლებად შეაწუხებს და „ლინფილდთან" მატჩისთვის მათი იმედიც ექნება — მას ხომ გუნდში ასლანაძე და ჯანელიძე ჰყავს, თუ ამათ დევაძეც დაემატა, მაშინ... ამასობაში კი ყვავილნარში შეკრებაზე მყოფმა „ლოკომოტივმა" შეპირებული ამხანაგური მატჩი გამართა ფოთის „კოლხეთთან" და 2:1 მოიგო. ეს გუნდები კიდევ ორჯერ გაეჯიბრებიან ერთმანეთს, 25 ივლისს და 3 აგვისტოს.

**გიორგი გაშაკიძე**

# პსვ-მ გერეტსი განარისხა

„მატჩი, რომელიც მინიმუმ 6:0 უნდა [illegible] წავაგეთ. ეს [illegible]ბელია" — ერიკ გერეტსმა ეს სიტყვები „პსვ" [illegible] შემდეგ წარმოთქვა, რომელიც „ეინდჰ[illegible]" 4:2 [illegible].

„დინამოს" შესაძლო მეტოქემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის წინ თამაში 1-(კრალი) — 4-(ჰაინცე, ნიკიფოროვი, ფაბერი, ვან დერ ვეერდენი) — 3-(ფოგელი, ვან ბომელი, კოლკა) — 3-(ნილისი, ვან ნისტერლოი, რომედალი) სისტემით დაიწყო. ტაიმი თავდასხმამ უგოლოდ დაასრულა, დაცვამ და მეკარემ კი ჰარი ვან დერ ლაანის გოლი გაუშვეს. მეორე ნახევარში გერეტსმა იმავე სისტემით ითამაშა, ოღონდ ამჯერად ასეთი შემადგენლობით: 1-(კრალი) — 4-(ჰაინცე, ვან ბომელი, ნიკიფოროვი, ვან დერ ვეერდენი) — 4-(ხოხლოვი, ნილისი, ფოგელი) — 3-(ბრუგინკი, ვან ნისტერლოი, ივანი).

პსვ-ს კარი მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაილაშქრა. კრალს ისევ ვან დერ ლაანმა გაუტანა. ერთადერთი, რაც გერეტსის გუნდმა შეძლო, 77-ე წუთზე რუუდ ვან ნისტერლოის პრესტიჟის გოლი იყო.

მატჩის შემდეგ ფანებმა მოედანზე პროვატერეუსეული ხასიათის პლაკატები გამოფინეს. ამით მათ უნდობლობა გამოუცხადეს „პორტუდან" შეძენილ მეკარე ივიცა კრალს და ძველი გოლკიპერის რონალდ ვატერეუსის დაბრუნება მოითხოვეს.

პსვ მორიგ ამხანაგურ მატჩს სალონიკში გამართავს „პაოკთან".

**სიმონ მენაბდე**

# აი, ვინ შეგვარცხვინა!

ჰოლანდიურ-გერმანული ტურნე თბილისის „დინამომ" გერმანიის მეორებუნდესლიგელ „მაინცთან" კატასტროფით დაასრულა. ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით მოასპარეზე „მაინცმა" (ახალშეძენილ ემილ კოსტადინოვსაც არ უთამაშია) ჩვენი ჩემპიონი მიწასთან გაასწორა. დინამოელმა გრიშიკაშვილმა პირველ ტაიმში მარკ შირენბერგისა და სვენ დემონდტის დარტყმები გაუშვა.

მეორე ტაიმში კი რატკოვსკიმ და იგივე დემონტმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს ქართველთა კარში. „დინამო" განსაკუთრებით 33 წლის სვენ დემონდტს დაუჩაგრავს, რომელსაც თავის დროზე „ჰერტასა" და „ლევერკუზენში" უთამაშია.

ქართველთაგან გოლი ვასილ გიგიაძემ გაიტანა.

**სიმონ მენაბდე**



სვენ დემონდტი

# აიაქსი ამერიკაში ჩაფლავდა

## ვოუტერსმა პანათინაიკოსთან შოთა და ლაუდრუპი აღარ ათამაშა

„აიაქსის" პირველი ვიზიტი შეერთებულ შტატებში კრახით დასრულდა. როგორც ჩანს, ჰოლანდიური გრანდი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა იმ საშინელი კრიზისიდან, რომელიც კლუბში შარშან შეიქმნა. წინასაარჩევნო სამზადისისას კლუბის წარმატებასა და წინსვლაზე საუბარი ოდენ ეიფორია აღმოჩნდა. პირველივე სერიოზულ გუნდებთან შეტაკება აიაქსელებმა პირწმინდად დათმეს.

ნიუ იორკში „გოტმარის თასისთვის" 24 ივლისიდან შოთას გუნდის გარდა „ფიორენტინა", „ასტონ ვილა" და „პანათინაიკოსი" იბრძოდნენ. შეიძლება ითქვას, „აიაქსს" კენჭისყრისას გარკვეულწილად გაუმართლა — პირველ მეტოქედ მას ასევე კრიზისში მყოფი „ასტონ ვილა" შეხვდა. ამის მიუხედავად, „აიაქსმა" ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ვოტერეუსმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: გრიმი, მოკოენა, ვერლაატი (ლანცაატი 81), პიქუე, ვან ჰელსტი, დანი (დე კლერი 64), კნოპერი (რეისერი 46), ვიჩგე, ლაუდრუპი (ვამბერტო 46), მახლასი (რობსონი 46), არველაძე

თითქმის ცარიელ „ჯენეტ სტედიუმზე" „აიაქსს" ამერიკელი ფანებიც ამხნევებდნენ, თუმცა, მათდა სამწუხაროდ, საყვარელმა კლუბმა ტაიმი პირწმინდად ჩააგდო. მე-13 წუთზე გრიმს იოახიმმა შეუგდო. 29-ე წუთზე კი დაბლინმა 2:0 გახადა.

პირველივე ტაიმში ერთადერთი შანსი მიეცა მახლასს და ბერძენმაც ანგარიში შეამცირა — 1:2. 84-ე წუთზე ვამბერტომ თამაში ძლივს გადაიყვანა პენალტების სერიაში (დამატებითი დრო არ გათამაშებულა). პენალტები ორივე გუნდმა საშინლად შეასრულა, ამის მიუხედავად, „ასტონ ვილამ" მოიგო 5:4 („აიაქსიდან" მესამე თერთმეტმეტრიანი შოთამ გაიტანა) და ფინალში „ფიორენტინასთან" სათამაშოდ გაემზადა, რომელმაც „პანათინაიკოსი" გაანადგურა — 3:0.

მესამე ადგილისთვის მატჩში ვოუტერსმა შემადგენლობიდან საერთოდ ამოაგდო ლაუდრუპი და არველაძე, თუმცა ბერძნებმა „აიაქსს" ინგლისელებზე ადვილად მოუგეს. მე-16 წუთზე ბარინასმა მენცო დაამწუხრა, 2 წუთში ნისიოპულოსმა მეორე გაიტანა. მეორე ტაიმში „აიაქსი" იმავეს გაკეთებას შეეცადა, რაც „ასტონ ვილასთან" გამოუვიდა. ვერლაატმა 59-ზე ერთი მართლაც გაქვითა, თუმცა 17 წუთში კარაგუნისმა ჰოლანდიელთა წვალებას წერტილი დაუსვა. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მახლასმა ისღა შეძლო, მარცხი შეელამაზებინა — 2:3.

„გოტმარის თასი" კი „ფიორენტინას" ერგო. ტრაპატონის ბიჭებმა მიატოვიჩმა, ბატისტუტამ (2-ჯერ) და რუი კოშტამ „ასტონ ვილას" შანსი არ დაუტოვეს — 4:0! „აიაქსის" დამწუხრებულმა ფანებმა კი ნიუ იორკის ფონზე კლუბის დროშა უპატრონოდ დატოვეს. მომდევნო საკონტროლო მატჩს შოთას გუნდი სან პაულუს „სანტოსთან" ითამაშებს.

**სიმონ მენაბდე**

# დავეწიოთ ბრაზილიას რუსეთში...

რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების შესახებ ადრეც ვწერდით. გათამაშების ბომბარდირთა ხუთეულში ჩვენებურები — ვასილ სეფაშვილი და მიხეილ ჯიშკარიანი ფიგურირებდნენ. უფრო მეტიც, სეფაშვილი მეგოლეთა სიას ლიდერობდა და ერთი გატანილი ბურთით უსწრებდა ტულის „არსენალის" ბრაზილიელ ლეგიონერ ანდრადინას, თუმცა პირველი წრის მერე სიტუაცია შეიცვალა. ბრაზილიელმა ერთი საფეხურით აინაცვლა და 12 გოლით პირველ ადგილზე დამკვიდრდა. ნალჩიკის სპარტაკელმა სეფაშვილმა კი ჯერჯერობით 11-ჯერ მოახერხა მეტოქეთა კარის დალაშქვრა. პირველი წრის მონაცემებით ანდრადინას გუნდიც სჯობს სეფაშვილისას. „არსენალი" მეექვსე ადგილზე იმყოფება. „სპარტაკი" — მეთორმეტეზე.

ბომბარდირთა დავაში მიხეილ ჯიშკარიანი გააქტიურდა. 21-ე ტურში მიშამ დუბლის გაკეთება შეძლო და ახლა 8 გატანილით ხვდება გათამაშების მეორე წრეს. ამ მაჩვენებლით ჯიშკარიანი მესამე ადგილს იყოფს იური გატილოვთან (ლადა — სიბირსკი) და კონსტანტინ პარამონოვთან („ამკარი") ერთად.

რაც შეეხება მის გუნდს, სარატოვის „სოკოლს", რომელშიც კიდევ სამი ქართველი — ძმები ზვიად და გიზო ჯელაძეები და მეკარე ზურაბ ქვაჩახია თამაშობს, შარშან უმაღლესი დივიზიონიდან ჩამოქვეითებულ კალინინგრადის „ბალტიკასთან" ერთად ლიდერობს.

რუსეთის პირველ დივიზიონში ასამდე ლეგიონერი მოღვაწეობს. აქედან გამომდინარე, ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" მიერ გამოქვეყნებულ ლეგიონერებისაგან შედგენილ პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში ზვიად ჯელაძე და ვასილ სეფაშვილი მოხვდნენ.

11 რჩეულს შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს ბრაზილიას — ტულის არსენალელები ანდრადინა, სამარონი და დანიელი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ქვეყნის ეს სამეული რუსეთის ჩემპიონატში წარმატებით ბურთაობს. მათ გადასწრებაზე ფიქრი ძნელია, თუმცა დაწევა შეიძლება. რა თქმა უნდა, რუსეთის სარბიელზე.

**ხვიჩა სანიკიძე**

# გულიტმა თემურ ქეცბაია დაასვენა და თავად ითამაშა

„ნიუკასლი" კვლავ შერცხვა და თუ ასე გაგრძელდა, პრემიერლიგაში დარჩენა ოცნებად გვექცევა" — ნიუკასლური მედია კვლავ დამცინავად გამოეხმაურა გულიტის მორიგ წაფორხილებას, ამჯერად მეორედივიზიონელ „რედინგთან". „მეჯესკი სტედიუმზე" 17600 მაყურებლის თვალწინ „რედინგმა" პირველი ტაიმი პირწმინდად მოუგო პრემიერლიგის გუნდს 2:0. „ნიუკასლს" ამჯერად არც ფრანგულ-ბერძნული დაცვა ჰყავდა, არც შირერ-ფერგიუსონის დუეტი და არც ქეცბაია. ამ დანაკლისის შესავსებად მეორე ტაიმში მოედანზე თავად გულიტი შევიდა და „ნიუკასლმა" მართალია, რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ თამაში გადაარჩინა — 2:2 (კოპინგერი, რობინსონი). მომავალი მეტოქე გულიტს კვლავ შოტლანდიური ელის, გლაზგოს „სელტიკი".

**სიმონ მენაბდე**

# ბრედაში აჩიკო-სერჟიოს ტანდემზე ფიქრობენ

„ნაკ ბრედა" განაგრძობს ჰოლანდიის მეორე დივიზიონისთვის მზადებას. გასულ უქმეებზე აჩიკო არველაძის გუნდმა ორი მატჩი გამართა და ჯამში 13 გოლი გაიტანა.

„ბრედამ" ჯერ „ჰელენი" დაამარცხა 3:0-ზე. ანგარიში არველაძემ გახსნა. შემდეგ მილიჩიჩმა ივაჟკაცა, ბოლოსკენ არველაძემ ბროსერს გაატანინა.

ბოლო საკონტროლო მატჩში კი „ბრედამ" W.A.V.V. გაანადგურა — 10:0. აჩიკოს არ უთამაშია, მის მაგივრად რეჯილიო საიმონსი გამოვიდა. მატჩში დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ სერჟიოს, რომელმაც ორი გოლი გაიტანა.

„ბრედაში" ფიქრობენ, რომ ახალ სეზონში კლუბი უძლიერესთა დივიზიონში აჩიკო-სერჟიოს ტანდემმა უნდა დააბრუნოს.

**სიმონ მენაბდე**



# მამუკა ხუნდაძე: მინდა მწვრთნელობა ვისწავლო

დრო იყო, სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივის“ ძირითადს სანახევროდ ქართველები შეადგენდნენ. დღესდღეობით კი ამ კლუბში ორი ჩვენებურიღაა შემორჩენილი — გივი ნოდია, რომელიც მეხუთე სეზონია რკინიგზელთა მთავარი მწვრთნელია და 33 წლის ნახევარმცველი მამუკა ხუნდაძე, რომლისთვისაც ეს სეზონი მესამეა ნევისპირა ქალაქის რანგით მეორე გუნდში. რუსეთის პირველდივიზიონელებს ახლა წრეთაშორისი ორკვირიანი ანტრაქტი აქვთ. ჰოდა, ამ ორი კვირიდან ერთი მამუკა ხუნდაძემ მშობლიურ ქუთაისში გაატარა. სანკტ პეტერბურგში გაბრუნების დღეს იყო, ფეხბურთელს რომ ინტერვიუ ვთხოვეთ.

**— შენი აქ „სტუმრობა“ რას მივაწეროთ?**

— ზამთარს აქეთ არ ვყოფილვარ ქუთაისში. ახლობლები მომენატრა. ყველანი მოვინახულე, მოვესიყვარულე და აგერ, უკან ვბრუნდები. 29 ივლისს „ვოლგარ-გაზპრომთან“ გვაქვს თამაში, 27-ში სანკტ პეტერბურგიდან ასტრახანს უნდა გავფრინდეთ.

**— შენს გუნდზე გვითხარი, რა ხდება „ლოკომოტივის“ თავს. მთლად კარგად არ უნდა ჰქონდეს საქმე.**

— პირველი წრე მეთერთმეტე ადგილზე დავამთავრეთ, თუმცა ბევრად უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა. ჩემპიონატი ძალიან კარგად დავიწყეთ. ორ გასვლით მატჩში ციმბირიდან 4 ქულა წამოვიღეთ. მერე შინაც არაუშავს ვითამაშეთ. ერთი თვის განმავლობაში ხუთეულში ვიყავით.

**— მერე რამ შეგიშალათ ხელი?**

— უსახსრობამ. ხელფასმა, პრემიამ დაიგვიანა და ბიჭებსაც წაუხდათ თამაშის ხალისი. ასეთ შემთხვევებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ახალს არაფერს ვიტყვი, ფინანსები ძალიან დიდ როლს თამაშობს რუსულ ფეხბურთში. სეზონის წინ იყო თქმულება, რომ „ლოკომოტივი“ უმაღლესი დივიზიონის საგზურისათვის იბრძოლებდა. ცოდვას ვერ ვიტყვი, კლუბის მესვეურები დაინტერესებულები არიან გუნდის წინსვლით, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი არ გამოსდით. ისეთი დაფინანსებით და იმ პირობებით, ახლა რომ „ლოკომოტივს“ აქვს ძნელია მაღალ მიზნებზე ფიქრი.

**— „ლოკომოტივი“ შარშან კინაღამ დაეთხოვა პირველ დივიზიონს...**

— მართლა ზღაპარში დავრჩით. ბოლო ტურში „ნეფტეხიმიკს“ ნიჟნი ნოვგოროდისთვის რომ მოეგო, გადათამაშებაში ვხვდებოდით და იქ ვინ იცის...

**— მეორე წრეშიც ასე უნდა იჯახიროთ?**

— კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს დაგვპირდა დავალიანებას სრულად გაგისტუმრებთო და, ვნახოთ. თუ მართლა შეგვისრულეს დანაპირები, საბოლოოდ მეთერთმეტე ადგილს არ დავჯერდებით. გუნდს რომ ნორმალურად შეუძლია თამაში ბევრ მატჩში გამოჩნდა.

**— საინტერესოა, გივი ნოდია რას ფიქრობს, რატომ ჩერდება ამდენხანს უპერსპექტივო გუნდში?**

— ამ შეკითხვაზე უკეთესად თავად გიორგიევიჩი გიპასუხებდათ. მე რა უნდა ვთქვა. კლუბის სპონსორის — „ოქტიაბრსკაია ჟელეზნაია დოროგას“



ხელმძღვანელობა ძალიან დიდ პატივს სცემს ბატონ გივის. ნოდია სანქტ პეტერბურგში ოჯახით ცხოვრობს. თავის საქმე ყველაზე უკეთ მან იცის. ისე, „უპერსპექტივობა“ რომ ახსენეთ, მთლად ასეც არ არის საქმე.

**— რა გაქვს მხედველობაში?**

— რა და ის, რომ ბოლო დროს სანკტ პეტერბურგში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამხელა ქალაქს უმაღლეს დივიზიონში ერთ გუნდზე („ზენიტზე“) მეტი უნდა ჰყავდეს. მოსკოვში ასეთი ხუთია და ახლა მეექვსეც „ტორპედო ზილიც“ იბრძვის გადასასვლელად. ბოლო დროს ქალაქში ჩვენი თამაშების აფიშები გამოჩნდა. წინათ 200-300 კაცი თუ მოდიოდა ჩვენს თამაშებზე, ახლა 2 ათასზე ნაკლები არ მოდის.

**— ჩემპიონატის სასტარტო ტურებში „ლოკომოტივი“ უშენოდ თამაშობდა...**

— მართლაც. ზედიზედ ხუთი ტურის გამოტოვება მომიხდა. კუნთი მქონდა დაჭიმული, მთელი თვე არ მივარჯიშია. თანდათან ჩავდექი ფორმაში და მგონი, გუნდსაც გამოვადექი, ყოველ შემთხვევაში 7 ბურთი კი გავიტანე.

**— გავიგე, რევაზ ბურკაძესთან გქონია საუბარი, „სამგურალში“ გადასვლას გთავაზობდა...**

— კი, ვისაუბრეთ. მაგრამ ჯერჯერობით სანკტ პეტერბურგიდან ვერ წამოვალ. „ლოკომოტივთან“ წლის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, თანაც გივი ნოდიასთან შეუთანხმებლად არ მინდა რაიმე გადავწყვიტო. გიორგიევიჩს უდიდეს პატივს ვცემ. ეს სეზონი დასრულდება და აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში. დავბრუნდები და ვითამაშებ იმ გუნდში, სადაც საჭიროდ ჩამთვლიან. ისე, ძალიან მინდოდა „ტორპედოს“ შემადგენლობაში გამეტანა ეროვნულ ჩემპიონატებში ჩემი მე-100 გოლი. სულ 8 ბურთი მაკლია. მაგრამ „ტორპედოში“ თუ არა, სხვაგან ვიქნები და წადილს მაინც ავისრულებ. ამაში დარწმუნებული ვარ.

**— როდემდე აპირებ თამაშს?**

— წლებს თუ ვუყურე არაფერი გამომივა. თუკი შეიძლება, რატომ არ უნდა ვითამაშო, რამდენი წლისაა ჯერაბ მეგრელაძე? ამ შემოდგომაზე მოსკოვში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში მინდა მოვეწყო. წელიწადნახევარში მწვრთნელის დიპლომს მივიღებ. ისე არ გამიგოთ თამაშისათვის თავის დანებებას ვაპირებდე. არა, სწავლა დაუსწრებელია და ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის. თამაშით კი რა ვიცი რამდენ ხანს ვითამაშებ. ალბათ, მანამ, სანამ შევატყობ, რომ აღარ შემიძლია. ჯერჯერობით ამ აზრისაგან შორს ვარ. არ ვეწევი, არ ვსვამ, ჯანზე ვარ და უთამაშებლად რა გამაჩერებს. არ შემიძლია უფეხბურთოდ. მწვრთნელობაც იმიტომ მინდა ვისწავლო, რომ ბოლომდე ფეხბურთში დავრჩე.

**— სანკტ პეტერბურგში ჩვენ ამბებს თუ გებულობ?**

— მართალია არც თუ ხშირად და დიდი მოცულობით, მაგრამ რუსული სპორტული პრესა ქართულ ფეხბურთსაც უთმობს ადგილს. თანაც ახლობლებს ხშირად ვუკავშირდები ტელეფონით და მათგანაც ვგებულობ ახალ ამბებს. ქუთაისში რომ მოვდიოდი, გივი ნოდიამ დამაბარა ტორპედოელებს ჩემპიონატში ვერცხლის მედლების და თასის მოპოვება მიულოცეო. მისი და, თუ ნებას დამრთავთ, საკუთარი სახელითაც სიამოვნებით გავაკეთებ ამას. „ტორპედოში“ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად და მისმა წარმატებებმა როგორ არ უნდა გამახაროს. გულითადად მინდა ვუსურვო გუნდს უეფას ტურნირში რაც შეიძლება მეტი ბარიერის დაძლევა.

**იუზა ქაციტაძე** ქუთაისიდან

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია, ბათიაშვილი ზ. ხიზანიშვილი (თბილისი),მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე(?) | ს.გოგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(სამგურალი),ქიჭველიშვილი,სიჭინავა,ლ. ხომერიკი(ბათუმი), ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი), გრიშიკაშვილი(ალანია,რუსეთი),დე სოუზა(გუარანი,ბრაზილია), დონდეტი (ლოკერენი, ბელგია) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდერი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაან ვეიგი (ჰოლანდია) 2:1, კლმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე(ბათუმი),დ. მუჯირი(შერიფი,მოლდოვა),კ. გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშ-ვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური,ვ. კილასონია შ.ხუჯაძე(?) | ტრაპაიძე,კალანდაძე,მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ლარნყალი),ოდიშარია(ცხუმი),არსოშვილი(შერიფი,მოლდოვა) | დილა 0:3,ცხუმი 5:0,თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, კოლხეთი 2:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი(თამაში მიატოვა),ქიჭველიშვილი,სიჭინავა,ლ.ხომერიკი(დინამო), ვერემჩუკი(თბილისი), ნადირაძე(გორდა),მაქაცარია,ყულევჯიშვილი,გუჯაბიძე, ქუტიძე,ფუტკარაძე(?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ.მაისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ლამბაშიძე,გვირჯიშვილი(თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა),გ. მეტრეველი(აკადემია),თოდუა(იბერია),ხართიშვილი(დინამო,სტავროპოლი,რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი) | გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვახტანგ გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური(ერევანი,სომხეთი),ბურნაძე(ვანსფორი,თურქეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ. შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი),გ. ჯანელიძე,დარსაძე(იბერია),გ. კილასონია (?) | მ.ძოძუაშვილი(გურია),სადილიანი(სულორი),ი. ხაჭაპურიძე,კაკაბაძე(მარგვეთი), ზ. ფხაკაძე(იბერია),ხელაძე,ესაიაშვილი(თამაში მიტოვებული ჰქონდათ),ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი(ტორპედო-2),ნებიერიძე(სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი(თბილისი),ლ.ამბიძე(მერანი) გუგუნავა(არსენალი), ძნელაძე, დ.ბერიძე, ტყავაძე,ჩალაძე(?) | დ. ჩიგოშვილი(ლარნყალი),ფოფხაძე(ივერია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი(დინამო) | კვარაცხელია(დინამო),ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ვ. ჩხაიძე(გურია), ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ),ისიანი(სიონი),ჩლაიძე (არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი),ბათიაშვილი ზ. ხიზანიშვილი(დინამო) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი,მაზანიშვილი(ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი),გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი(ბელგია) 1:1 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაშუკელი,ჩადუნელი(?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯლარკავა,მაკალათია (ფაზისი),დ. გოგოლაძე,სიმონიშვილი(თსუ),ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი (გურია),მგელაძე(მერცხალი) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე,დ. ჭელიძე(?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი(ოდიში),ლ. ამბიძე(სიონი),ნ. ყიფიანი,ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, თბილისი 2:2, ჭაბუკიანი 1:0 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ს.გოგაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),ხუჭუა(კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე,გ. დოლიძე,ვარდიაშვილი(?) | გ. ჯანელიძე, დარსაძე (სამგურალი), ასათიანი (ტორპედო 2), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია),ხურციძე,თ. მაღლაკელიძე(ფაზისი),ჟვანია(ოკეანე),გელაშვილი (ორიოლი,რუსეთი),ბინაძე (მარგვეთი),ნიკურაძე(გურია) | კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0, ბათუმი 1:5 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მდივანი(?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ.მახარაძე(მერცხალი),კედელაშვილი,მ. მელაძე(კოლხეთი),ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი(ლარნყალი),ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია),კ. პაპავა(ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი(კოლხეთი),ჭუმბურიძე,გაბელია(?) | ახალაძე(სამგურალი),ვ. ქუთათელაძე,ერაძე,ლამბაშიძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე(გურია),დ. არჩვაძე(ნივა,ვინიცა,უკრაინა),დ. ხომერიკი,გ. მიქაძე, გ. გოცირიძე(ვაკე-91),კვიციანი,მ. ვაშაკიძე(აკადემია),კრავეიშვილი(ოკეანე), ფარქოსაძე(არმინია ამატორი,გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი(ნისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ. გვაზავა(?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# უეფამ პერუჯა დასაჯა

გუშინ საღამოს უეფამ იმსჯელა „პერუჯა“ — „ტრაბზონსფორის“ მატჩის ბოლოს მომხდარ არეულობაზე, შეხვედრის შედეგი — 1:3 გააუქმა, მასპინძლებს 0:3 წაგება ჩაუთვალა და 75 ათასი შვეიცარიული ფრანკითაც დააჯარიმა.

წუხელვე გავრცელებულ უეფას ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: „პირველ შეხვედრაში სტუმრად 2:1 მოპოვებული გამარჯვება „პერუჯას“ მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევდა. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში 1:1 გახლდათ, რაც იტალიელების შემდეგ წრეში გასვლას ნიშნავდა. 88-ე წუთზე თურქებმა შეძლეს მეორე გოლის გატანა და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა. ძირითადი დრო 2:1 დასრულდა „ტრაბზონსფორის“ სასარგებლოდ, ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო.

დაიწყო თუ არა დამატებითი დრო, „პერუჯამ“ მეტოქის კარში გოლი გაიტანა, თუმცა არ ჩაითვალა — თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ცოტა ხანში „ტრაბზონსფორმა“ მასპინძლებს მესამე გოლიც გაუტანა. აქ გულშემატკივრებმა თანამსაჯს პლასტმასის ბოთლები, ხურდები და სანთებელები ესროლეს, რის გამოც მთავარ მსაჯს შეხვედრის დროებით შეწყვეტა მოუხდა.

შვიდი წუთის შემდეგ შეხვედრა განახლდა. „პერუჯამ“ კვლავ გაიტანა გოლი „ტრაბზონსფორის“ კარში, მაგრამ თანამსაჯმა კვლავ თამაშგარე დააფიქსირა. აქ კი მასპინძელმა ქომაგებმა ველარ მოითმინეს და თანამსაჯს სხვადასხვა ნივთები დააყარეს.

გერმანელი არბიტრის გეორგ დარდენის გადაწყვეტილებით, შეხვედრა აღარ განახლებულა. ამ დროს ანგარიში 3:1 გახლდათ თურქთა სასარგებლოდ. პერუჯელი გულშემატკივრების უსაქციელობა უეფას ეცნობა.“

ამ განცხადების შემდეგ უეფამ რა გადაწყვეტილებაც მიიღო, დასაწყისში გაცნობეთ — „პერუჯას“ 0:3 წაგება ჩაეთვალა, 75 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა, ასევე დაევალა ევროტურნირებზე მომდევნო ორი შეხვედრის პერუჯიდან 300 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში გამართვა. მნიშვნელობა არა აქვს, როდის მოუწევს კლუბს ხელახლა ევროტურნირებზე თამაში.

ერთი სიტყვით, შინ 1:2 დამარცხებული „ტრაბზონსფორი“ შემდეგ წრეში გავიდა. პერუჯაში ძირითადი დროის 88-ე წუთზე გატანილი მეორე გოლი მისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა.

იტალიელებს ეეჭვებათ, უეფამ მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოს, მაგრამ „პერუჯას“ პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი ამ ორგანიზაციაში პროტესტის შეტანას მაინც აპირებს.

ცნობისთვის: ბოლო კვირაში ეს მეორე შეხვედრაა „პერუჯას“ მონაწილეობით, რომელიც სკანდალით დასრულდა. „ტრაბზონსფორთან“ მატჩამდე სამი დღით ადრე „პერუჯა“ ლიბიის ნაკრებს შეხვდა ამხანაგურად და ამ თამაშსაც გვარიანი აყალ-მაყალი ახლდა.

**როიტერი**

## ინტერტოტოს თასი. მესამე ეტაპი
### საპასუხო მატჩები. 24-25 ივლისი

INTERTOTO CUP

პერუჯა (იტალია) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) 0:3 (2:1)
1:0 პეტრაკი (4), 1:1 ვუგრინეცი (21), 1:2 კინალი (88), 1:3 მანდირალი (111)

ბაზელი (შვეიცარია) — ჰამბურგი (გერმანია) 2:3 (1:0)
0:1 ფიშერი (37), 0:2 გროტი (43), 0:3 იებოა (47), 1:3, 2:3 კუმანტარაკისი (50, 57)

იოკერიტი (ფინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) 1:1 (0:1)
1:0 კოსკელა (32), 1:1 ლამპარდი (70)

მეცი (საფრანგეთი) — ლოკერენი (ბელგია) 0:1 (2:1)
0:1 კიმოტო (40)

როსტსელმაში (რუსეთი) — ვარტექსი (ხორვატია) 0:1 (2:1)
0:1 მუმლეკი (73)

აუსტრია (ავსტრია) — სენტ ტრუიდენი (ბელგია) 1:2 (2:0)
0:1 ტეპერსი (34), 0:2 ფიერსი (45), 1:2 შტიოგერი (62)

იუვენტუსი (იტალია) — ჩაკლაული (რუმინეთი) 0:0 (1:1)

ჰამარბი (შვედეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) 0:2 (0:2)
0:1, 0:2 სამარჯიჩი (14, 60)

მონპელიე (საფრანგეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) 2:1 (2:0)
1:0 დელაი (36), 2:0 ჯოდიჩი (54), 2:1 პერეს როდრიგესი (73)

დუისბურგი (გერმანია) — ქოჩაელი (თურქეთი) 0:0 (3:0)

რენი (საფრანგეთი) — ლუსტენაუ (ავსტრია) 1:0 (1:2)
1:0 ბინიე (24)

ვაშაში (უნგრეთი) — პოლონია (პოლონეთი) 1:2 (0:2)
0:1 ბაკი (61), 0:2 გოლაშევსკი (80), 1:2 არანიოში (87)

*ნახევარფინალში, რომლის პირველი შეხვედრები 28 ივლისს, ხოლო საპასუხო 4 აგვისტოს გაიმართება, გუნდები ასე დაწყვილდნენ:*

მეცი (საფრანგეთი) — პოლონია (პოლონეთი)
როსტსელმაში (რუსეთი) — იუვენტუსი (იტალია)
დუისბურგი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი)
რენი (საფრანგეთი) — აუსტრია (ავსტრია)
ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ჰამბურგი (გერმანია)
ვესტ ჰემი (ინგლისი) — ჰერენვენი (ჰოლანდია)

# კენჭისყრა და ფინალი ნიგერიაში

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, კონტინენტის თასის გათამაშების კენჭისყრა 28 აგვისტოს ლაგოსში შედგება.

ნიგერიის დედაქალაქი 2000 წლის აფრიკის თასის გათამაშების ფინალსაც უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ტურნირს ერთდროულად განა და ნიგერია მიიღებენ.

კენჭისყრის სისტემა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენლებს არ გაუმხელიათ, თუმცა თასის მფლობელი ეგვიპტე და კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა ოთხი ჯგუფიდან რომელიმე ორში რომ განითესებიან, ამაზე უკვე ითქვა.

აფრიკის თასის გათამაშებაში მონაწილე 16 გუნდიდან თხუთმეტის ვინაობა უკვე ცნობილია. დარჩენილ ერთ ადგილს ერითრია, სენეგალი და ზიმბაბვე გაითამაშებენ.

## შვეიცარია

### V ტური

**დელემონი 4:2 არაუ**
1:0, 2:0 ფაბინიო (6,11), 2:1 ალექსანდროვი (36), 2:2 პეიჯი (41), 3:2 დრაკოპულოსი (53), 4:2 ნდლოვუ (86)

**ივერდონი 1:0 ლუგანო**
1:0 ლეანდრო (11)

**ლუცერნი 2:1 ლოზანა**
0:1 მაცონი (41), 1:1 ფრაი (63), 2:1 ელ ბუზიდი (90)

**გრასჰოპერი 4:0 ქსამაქსი**
1:0, 2:0 შაპუიზა (25პ, 29), 3:0 იაკინი (45), 4:0 ლიოვიკი (88)

**სერვეტი 3:0 ციურიხი**
1:0 ვოლფი (6), 2:0 დური (90), 3:0 პეტროვი (90)
ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ანდრეოლი, შტოკლასა, პალასი (გიგაქსი 33), კებე (დუგლასი 77), სანტანა, კვენტინი (მიადინოვსკი 46), ჯამარაული, ფრიკი, ბარტლეტი

**სენტ გალენი — ბაზელი**
*გადაიდო*

ჩემპიონ ჟენევის „სერვეტთან“ საგარეო შეხვედრაში „ციურიხს“ ბევრი წინასწარვე განწირულად მიიჩნევდა. ეს არც იყო გასაკვირი. გოჩა ჯამარაულის „ციურიხი“ წლეულს აშკარად უფერულად გამოიყურება. შვეიცარიელ ჟურნალისტებს კლუბის ცუდ თამაშზე წერა მობეზრდათ კიდეც.

პროგნოზები გამართლდა. „სერვეტმა“ მეტოქეს გადაუარბინა, თუმცა ეს ტაბლოზე მატჩის მიწურულსღა აისახა.

„ციურიხის“ მცირე იმედს დებიუტშივე გადაესხა ცივი წყალი, როცა ვოლფმა ახლოდან ანგარიში გახსნა. ჩამორჩენის მიუხედავად, სტუმრებს თავი არ გამოუდვიათ. „სერვეტიც“ თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში მათ ნახევარზე იყო დასახლებული, მეტოქის კართან მომენტებიც საკმაოდ შექმნა, თუმცა წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ამჯერად პასკოლომ ჩინებულად ითამაშა და თავისიანები არაერთხელ გადაარჩინა.

ანგარიშის გათანაბრება „ციურიხს“ მხოლოდ ერთხელ შეეძლო. 30-ე წუთზე ფრიკმა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

83-ე წუთზე „ციურიხი“ მინდორზე ათი კაცით დარჩა — ვარელასთან უხეშობისთვის შტოკლასამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. მცველის გაგდებამ სტუმართა ისედაც შეუთანხმებელი დაცვა კიდევ უფრო არია. „სერვეტმაც“ ისარგებლა ამით. დურიმ და პეტროვმა თითო გოლი გაიტანეს და ჩემპიონმაც 3:0 მოიგო. გოჩა ჯამარაულმა, წინა მატჩის მსგავსად, ვერ ითამაშა, თუმცა სპეციალისტებმა გუნდში იგი და პასკოლო გამოარჩიეს.

შაბათს შვეიცარიელთა მთელი ყურადღება ციურიხისკენ იყო მიპყრობილი. „გრასჰოპერმა“ საკუთარ მინდორზე „ქსამაქსს“ უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა. ოთხიდან ორი გოლი სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნებულმა შტეფან შაპუიზამ გაიტანა. ექსდორტმუნდელმა თავდამსხმელმა მატჩი ჩინებულად ჩაატარა — გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, ძალიან აქტიურად ითამაშა და მცველებს თავგზა აუბნია. შაპუიზას სულ 45 წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ სტადიონზე მისული 9000 ქომაგი აღეფრთოვანებინა. 25-ე წუთზე შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელმა დე ნაპოლის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა, სულ მალე კი მეორე გოლიც გაიტანა. ტაიმის მიწურულს კინაღამ ჰეთ-ტრიქიც შეასრულა, თუმცა შორიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი ძელს გაარტყა. 45-ე წუთზე გატანილ მესამე გოლშიც შეიტანა წვლილი, როცა იაკინის ისეთი პასი მისცა, კარში შეგორების მეტი რომ არაფერი უნდოდა. მეორე ტაიმში „კალიებმა“ ერთიც დაამატეს და 4:0 მოიგეს. თამაშის შემდეგ მათი მწვრთნელი როჯერ ჰეჯი სიხარულს ვერ მალავდა. „შაპუიზას შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა. დარწმუნებული ვიყავი, იგი დღესვე დაამტკიცებდა ყველაფერს. ასეც მოხდა. გუნდში მისი მოსვლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში გვაქვს“ — აღნიშნა მან.

ეს ტური იღბლიანი აღმოჩნდა დებიუტანტთათვისაც. „ივერდონმაც“ და „დელემონმაც“ წლეულს პირველი გამარჯვებები იზეიმეს, რითაც სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორეს.

„ბაზელი“ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო „სენტ გალენს“ ვერ ესტუმრა. ეს მატჩი მოგვიანებით გაიმართება.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:2 | 9 |
| სტ. გალენი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| ლუცერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ივერდონი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| ლუგანო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ციურიხი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| არაუ | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | 5 |
| დელემონი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| ბაზელი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ლოზანა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |




გრასჰოპერი — ქსამაქსი 4:0. მასპინძელთა ნორვეგიელმა ფორვარდმა კეტილ ლიოვიკმა (მარჯვნივ) მეოთხე გოლი გაუტანა სტუმრებს

# პრეზიდენტი პენევი

ბულგარეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ლუბოსლავ პენევი თავისი ყოფილი კლუბის სოფიის ცსკა-ს პრეზიდენტად აირჩიეს.

32 წლის პენევმა ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ცსკა-ს პრეზიდენტად დანიშნავდნენ, ფეხბურთს გამოეთხოვებოდა. მაშინ მას არ დაუზუსტებია, იმთავითვე გაწყვეტდა კონტრაქტს ვიგოს „სელტასთან“ თუ არა. შეგახსენებთ, რომ პენევის ბოლო კლუბი სწორედ „სელტაა“. იგი ამ კლუბში 2,3 მილიონ დოლარად გადავიდა „კომპოსტელადან“. საერთოდაც, ლუბოსლავ პენევი 1989 წლიდან ესპანეთში თამაშობს და ზემოხსენებული ორი კლუბის გარდა მადრიდის „ატლეტიკოში“ და „ვალენსიაშიც“ თამაშობდა.

— ძნელია ყველაფერ იმაზე უარის თქმა, რასაც ესპანეთში მივაღწიე, მაგრამ, ალბათ, მომიწევს. ცსკა-ს პრეზიდენტობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და ამას სერიოზულად უნდა მოვეკიდო — განაცხადა პენევმა.

ცსკა, რომელმაც ბულგარეთის ჩემპიონატი 28-ჯერ მოიგო, ბოლო ჩემპიონატში მეხუთე იყო. სამაგიეროდ, თასს დაეუფლა.

# სერხი რჩება

„ბარსელონას“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, სერხი ბარხუანმა, კატალონურ კლუბთან კონტრაქტი 2002 წლამდე გააგრძელა.

27 წლის სერხიმ, რომელიც „ბარსაში“ 1993 წლიდან თამაშობს, უარყო ყველა იტალიური თუ ინგლისური გუნდების წინადადება, თუმც აქამდე აღნიშნავდა, რომ შეიძლებოდა, კატალონიაში არ დარჩენილიყო.

— წინადადებები მართლაც მრავლად მქონდა, ეს არასდროს დამიმალავს. ერთი პირობა სხვაგან გადასვლაზეც ვფიქრობდი, მაგრამ საბოლოოდ ისევ „ბარსა“ ვარჩიე, რასაც, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს — თქვა ესპანეთის ეროვნული ნაკრების მცველმა.

— მოხარული ვარ, რომ სერხიმ ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევაში, ის 2002 წლამდე აქ იქნება. ვერ ვიტყვი, რომ მას ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს, ისევე როგორც თითოეულს, ეს მან თავისი თამაშით უნდა დაიმსახუროს — განაცხადა კატალონიელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა.

## ნორვეგია

მე-16 ტური. ბოდიო გლიმტი — მოლდე 3:1; კონგსვინგერი — ბრანი 0:2; ლილესტრიომი — ვიკინგი 4:1; მოსი — სტაბეკი 2:0; სკეიდი — ოდ გრენლანდი 3:1; ტრომსიო — რუსენბორგი 2:1; ვოლერენგა — სტრიომსგოდსეტი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 16 | 11 | 2 | 3 | 44:14 | 35 |
| მოლდე | 16 | 10 | 2 | 4 | 27:18 | 32 |
| ბრანი | 14 | 10 | 0 | 4 | 27:21 | 30 |
| ლილესტრიომი | 15 | 9 | 2 | 4 | 36:26 | 29 |
| სტაბეკი | 16 | 9 | 2 | 5 | 35:25 | 29 |
| ტრომსიო | 15 | 8 | 2 | 5 | 38:25 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 16 | 6 | 3 | 7 | 29:33 | 21 |
| ვიკინგი | 16 | 6 | 2 | 8 | 26:25 | 20 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 6 | 2 | 8 | 22:34 | 20 |
| სკეიდი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:36 | 17 |
| მოსი | 16 | 5 | 1 | 10 | 23:33 | 16 |
| სტრიომსგოდსეტი | 16 | 5 | 1 | 10 | 25:37 | 16 |
| ვოლერენგა | 15 | 4 | 3 | 8 | 21:28 | 15 |
| კონგსვინგერი | 15 | 3 | 0 | 12 | 20:38 | 9 |

## პოლონეთი

მე-2 ტური. ლეხი — პოგონი 1:1; სტომილი — გროცლინი 5:2; რუხი — ვიძევი 4:1; ვისლა — პლოცკ 3:1; ლკს — ოდრა 1:0; გურნიკი — ლეგია 2:2; ზაგლებე — ამიცა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| სტომილი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| რუხი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ამიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ზაგლებე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პოგონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლკს | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ლეგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პოლონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გურნიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ლეხი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| პლოცკ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ვიძევი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| რაძიონწკოვი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გროცლინი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| ოდრა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## უკრაინა

მე-4 ტური. დინამო — კარპატი 3:0; ჩორნომორეცი — მეტალისტი 0:1; მეტალურგი — ცსკა 0:1; ზირკა — ნივა 1:1; ტავრია — მარიუპოლი 1:0; დნიპრო — პრიკარპატია 1:1; კრივბასი — შახტარი 1:0; ვორსკლა — ზაპოროჟიე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| შახტარი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| მეტალისტი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| მარიუპოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:3 | 6 |
| ვორსკლა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| ცსკა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 6 |
| ტავრია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ზაპოროჟიე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| კარპატი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| ნივა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| პრიკარპატია | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | 3 |
| ჩორნომორეცი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:9 | 3 |
| ზირკა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| დნიპრო | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

Mexico'99
FIFA CONFEDERATION CUP
24 July to 4 August, 1999

# გერმანია წახდა!



REUTERS

ბრაზილია — გერმანია 4:0. სამხრეთამერიკელებმა ევროპის ჩემპიონებს ბოლო 45 წლის მანძილზე უსასტიკესი მარცხი აგემეს, ამ ფოტოზე კი ბალაკისა და ბრაზილიელი ვამპეტას (№20) ბრძოლაა ასახული

1954 წლის 20 ივნისს, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში გერმანია 3:8 დამარცხდა უნგრეთის დიდ გუნდთან. მას შემდეგ 45 წელიწადი გავიდა და გერმანიამ კვლავ წააგო ოთხი და მეტი ბურთის სხვაობით. 45 წლის შემდეგ ბუნდესნაკრები, რომლისთვისაც გამანდგურებელი წაგება ამ ბოლო დროს ჩვეულებრივ ამბად იქცა, კვლავ შერცხვა — 0:4 ევროპის ჩემპიონებისთვის მეტისმეტია.

სხვისი რა გითხრათ და მე მოველოდი, რომ გერმანია ბრაზილიას დაამარცხებდა. ამას ის მაფიქრებინებდა, რომ ბრაზილია კონფედერაციათა თასზე რონალდოს, რივალდოს, რობერტო კარლოსის, კაფუს გარეშე, ერთი სიტყვით, შესუსტებული შემადგენლობით მიემგზავრებოდა. თან გერმანელთა შორის საკმაოდ კარგ ფეხბურთელებს მოეყარათ თავი.

ფიქრი ფიქრადვე დარჩა — ასეთი ამაზრზენი თამაშის შემხედვარემ ერთი ხანობა ისიც ვიფიქრე, გოლი საერთოდ თუ გავა-მეთქი, და თუმცა გოლი კი არა, გოლები გავიდა, საკმაოდ ლამაზიც და ჩემთვის მოულოდნელად, ყველა გერმანელთა კარში. მართალი გითხრათ, თუ გერმანელები ოდესმე ასე შერცხვებოდნენ, ვერც წარმომედგინა, მაგრამ ხომ ხედავთ, მოხდა ის, რაც უკიდურესად იშვიათად ხდება.

გერმანული ფეხბურთი, უფრო სწორად, გერმანიის ნაკრები, კრიზისშია და ეს დღესდღეობით უკვე ვარაუდი აღარაა — გუნდში, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ტიტულის შენარჩუნებაზე აცხადებს პრეტენზიას, ამასობაში კი 0:4 მარცხდება, ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. არ უნდა იყოს და არცაა — ერიხ რიბეკი არაა ის კაცი, ნაკრების სათანადო დონეზე მწვრთნელობა შეძლოს. ეს არაერთხელ გამოჩნდა.

ბრაზილია კი გინდ რივალდო-რონალდოთი თამაშობდეს, გინდ უმათოდ, ბრაზილიაა. ვანდერლეი ლუქსემბურგო, რომლის ნაკრების თავკაცად დანიშვნას ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, ძლიერი, გამჭრიახი მწვრთნელი აღმოჩნდა — მისმა გუნდმა დაუბრკოლებლად მოიგო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი და ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც კონტინენტთაშორისი ჩემპიონატის მოგება გაუჭირდება.

და მაინც — გერმანიის ასეთი კრახი დიდი მოულოდნელობა გახლდათ. გასაგებია, რომ რიბეკს ძირითადი შემადგენლობის ყველა მოთამაშე არ ჰყავდა, მაგრამ განა რონალდინიო, ალექსი, კრისტიანი ანაც სხვები ბრაზილიის ღირსებას გამუდმებით იცავენ? რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის არყოფნა აქ არაფერ შუაშია. მარცხის მიზეზი ამ შეხვედრაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ უფრო ღრმად, გერმანული ფეხბურთის წიაღში.

ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრების ბოლოდროინდელი კრიზისის მიზეზი (უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი ძირითადი მაინც), გუნდის ძალიან ნელი, თითქმის შეჩერებული გაახალგაზრდავებაა — ბუნდესნაკრებს ყოველთვის გამოარჩევდა ჭარმაგი ასაკი. ერთიც — გერმანიის ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელები, სხვა გუნდებისგან განსხვავებით, იშვიათად ჩნდებოდნენ, ანაც ახალგაზრდად უკვე 26-27 წლის მოთამაშეებს თვლიდნენ, რაც თავისთავად შეცდომა გახლავთ. ბრაზილიელ ჭაბუკებს 19-20 წლის ასაკში უკვე შეეძლოთ ქვეყნის პირველ გუნდში მოხვედრა. ამიტომაცაა, რომ მერე ნაკრებში თამაშთან დაკავშირებული წინააღმდეგობების დაძლევა არ უჭირთ. გერმანულ ფეხბურთში სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. შედეგი — ამ ბოლო ხანებში გუნდი „წარბშეუხრელად" აგებს 0:3-ს და აგერ უკვე 0:4-ს.

სულ ბოლოს ცოტა სტატისტიკასაც მოვიშველიებ: გერმანია და ბრაზილია, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან, მაგრამ 17-ჯერ უპაექრიათ. ბრაზილიამ ათჯერ მოიგო და ოთხჯერ ფრედ ითამაშა. ბურთებიც მის სასიკეთოდაა — 31:18.

ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდის უპირველეს მეტოქედ გერმანია ითვლებოდა, მაგრამ ამ მარცხის შემდეგ სამხრეთამერიკელთა მოწინააღმდეგედ, ალბათ, მექსიკელებს მოიხსენიებენ. გათამაშების მასპინძელმა გუნდმა კონფედერაციის თასის წინა სამი გათამაშების მასპინძელი საუდეთი არ დაინდო — 5:1 მოუგო, კვატემოკ ბლანკომ კი სულაც ოთხი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ამ თასის ბოლო სამი გათამაშების მანძილზე მექსიკა საუდეთს მუდამ უპირისპირდება და ყოველთვის უგებს — 1995 წელს 2:0 აჯობა, ორი წლის წინ კი 5:1.

კონფედერაციათა თასის გათამაშების პირველ ტურზე საუბარს ერთი საყურადღებო ინფორმაციით დავასრულებ — ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელმა ჰასან აჰმედმა ამ ტურნირის ისტორიაში მეასე გოლი გაიტანა.

**ლაშა გოდუაძე**

### A ჯგუფი

**მექსიკა 5:1 საუდეთი**

1:0, 2:0 ბლანკო (12, 19), 3:0 აბუნდისი (21), 3:1 ალ ტემიატი (62პ), 4:1, 5:1 ბლანკო (68, 77)

მექსიკა: კამპოსი, სუარესი, მარკესი, გარსია ასპე (გარსია 65), აბუნდისი, ბლანკო, პარდო, პალენსია (ტერასასი 80), კარმონა, სეპედა (არელანო 46)

საუდეთი: ალ დეია, ალ ჯაჰანი, ალ ხილაივი, ალ დაუდი, ალი პარბი (ზენ შენანი 84), ი. ალ შაჰრანი, სულიმანი, ალ სუბაუ, ალ ტემიატი (ა. ალ შაჰრანი 84), ფალატაჰი, ჰარტი

მსაჯი: ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია)

**ბოლივია 2:2 ეგვიპტე**

0:1 საბრი (8), 1:1 გუტიერესი (21), 2:1 რიბერა (40), 2:2 აჰმედი (63)

ბოლივია: ფერნანდესი, პენა, არანა, გუტიერესი (ეჩევერი 71), ტუფინიო, გალინდო (სორია 60), ბოტერო (მენაჩო 46), სანჩესი, ხუსტინიანო, კასტილიო, რიბერა

ეგვიპტე: ელ ჰადარი, ჰასანი, რამზი, მედჰათი, იუსუფი, რადვანი, ჰასან ჰოსამი (აბდელჰამედი 61), საბრი (ალ ამინი 75), ემამი (ქაშბა 84), ელ საქა, აჰმედი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვეიცარია)

### B ჯგუფი

**ბრაზილია 4:0 გერმანია**

1:0 ზე რობერტო (62), რონალდინიო (72პ), 3:0, 4:0 ალექსი (85, 88)

ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ოდვანი, ჟოაო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო (ვარლეი 62), სერჟინიო, რონალდინიო, ემერსონი, კრისტიანი (ალექსი 62), ზე რობერტო (ბეტო 82), ვამპეტა

გერმანია: ლემანი, ვიორნსი, ჰაინრიხი (მოლი 73), ლინკე, შოლი, ვოში, მათეუსი, პრეევცი (მარშალი 70), ნოივილი (გერბერი 78), ბალაკი, რიკენი

გაფრთხილება: შოლი (9), ემერსონი (12), ვამპეტა (17)

მსაჯი: ხილბერტო ალკალა (მექსიკა)

**ახალი ზელანდია 1:2 აშშ**

0:1 მაკბრაიდი (25), 0:2 კიროვსკი (58), 1:2 ზორიჩიჩი (90)

ახალი ზელანდია: უტინგი, ზორიჩიჩი, დუგლასი (სმიტი 73), უილკინსონი, ბარტონი, ლინესი, ჯექსონი, ატკინსონი (ნელსენი 75), ბუკენშუგი, ვისელოჩი, კოვენი (ელრიკი 63)

აშშ: კელერი, ფრეიზერი, ჰარკსი, ლუისი (ჰეიდუკი 77), სტიუარტი (ოლსენი 73), კიროვსკი, აგუსი, ჯონსი (მური 82), უილიამსი, ლამოსა, მაკბრაიდი

გაფრთხილება: კოვენი (32)

მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ბლანკო (მექსიკა) | 4 |
| ალექსი (ბრაზილია) | 2 |

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი მაიკლ ბრიჯისი პრემიერლიგაში აღზევებული „სანდერლენდიდან" „ლიდს იუნაიტედში" გადავა. მას შემდეგ, რაც ბრიჯისმა გაიგო, რომ მისით „ლიდსი" დაინტერესდა, პრემიერლიგის ორი კლუბის „მიდლსბროსა" და „ტოტენჰემის" წინადადებები უარყო. მოსალოდნელი ტრანსფერის სავარაუდო ფასი 5 მილიონი გირვანქაა. „სანდერლენდი" ბრიჯისის შენარჩუნებას ცდილობს, ახალი კონტრაქტიც შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელმა კლუბში დარჩენა იუარა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში „ლიდს იუნაიტედი" უეფას თასზე თამაშობს.

**გერმანელი მცველის, დიტმარ ჰამანის „ნიუკასლიდან" „ლივერპულში" გადასვლამ ლივერპულელ ქომაგებს იმედი მისცა, რომ კიდევ ერთი ტრანსფერი განხორციელდება — საქმე ისაა, რომ „ლივერპულმა" შეიძლება მეორე გერმანელი მცველი, მარკუს ბაბელიც შეიძინოს. ინგლისელები ბაბელს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მცველმა მაშინ „ბაიერნში" დარჩენა არჩია. ბაბელს მადრიდის „რეალიც" იწვევდა. „ლივერპულის" ხელმძღვანელობა იმედიანადაა — მათი აზრით, ჰამანმა შესაძლოა თანამემამულე დაიყოლიოს.**

**ფინეთის** ჩემპიონატის მე-17 ტურის შეხვედრები კვირას გაიმართა. ჰაკა — ვასა 2:0, ინტერი — აბო 1:2, ჰელსინგფორსი — კოტკა 3:1, როპსი — ლაჰტი 2:2. ჩემპიონატს 40 ქულით „ჰაკა" ლიდერობს, მეორე ადგილზე კი 35 ქულით „ჰელსინგფორსია".

**რუმინული კლუბის, პლოეშტის „ასტრას" მოთამაშე სტეფან ვრაბიორუ გულის შეტევით გარდაიცვალა. კლუბის ექიმის, ვიქტორ პოპოვიჩის განცხადებით, 24 წლის ნახევარმცველი ჩემპიონ „რაპიდთან" ფრედ 1:1 დასრულებულ მატჩში დაშავდა და მწვრთნელმა შეცვალა, მერე კი ფეხბურთელმა თავი ცუდად იგრძნო და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.**

**ესპანეთის** ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გასულმა ვიგოს „სელტამ" ახალი სეზონის წინ ერთბაშად ორი თავდამსხმელი გადაიბირა. ვიგოელებმა სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელი ბენედიქტ მაკართი და ეკვადორელი ივან კავიედესი შეიძინეს. „სელტამ" ამსტერდამის „აიაქსს" მაკართის სანაცვლოდ 6,3 მილიონი დოლარი გადაუხადა. კავიედესის სატრანსფერო თანხა უცნობია. „ის სწრაფია, ტექნიკური და რაც მთავარია, ახალგაზრდა. დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენი გუნდის თავდასხმას ძალიან გააძლიერებს" — განაცხადა „სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა. რაც შეეხება კავიედესს, მან რამდენიმე დღის წინ დასრულებულ „კოპა ამერიკაზე" ორი გოლი გაიტანა.

**ხორვატიაში მორიგი ჩემპიონატი დაიწყო. შაბათს პირველი ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: კროაცია — ციბალია 2:0, ისტრა — სლავენი 0:2, ვუკოვარ 91 — ზაგრები 3:4, რიეკა — ოსიეკი 0:1, სიბენიკი — დრაგოვოლიაცი 0:0. ტურის ბოლო შეხვედრა ვარტექსსა და ჰაიდუკს შორის ხვალ, ოთხშაბათს შედგება.**

**ბელგიელი** ფეხბურთელი ფილიპ ალბერი სამშობლოში დაბრუნდა და მომავალი სეზონიდან „შარლერუაში" ითამაშებს. ჯერჯერობით ფეხბურთელს არ გაუმხელია, თუ რამდენი გადაუხადა „შარლერუამ" მის ძველ კლუბს, ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედს". ალბერმა ახალ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კარიერას, ალბათ, სწორედ „შარლერუაში" დაასრულებს. შეგახსენებთ, რომ ბელგიის ბოლო ჩემპიონატში ეს კლუბი მე-14 ადგილზე გავიდა. ცნობისთვის: ფილიპ ალბერის პირველი კლუბი სწორედ „შარლერუა" გახლდათ.

**იუგოსლაველი ნახევარმცველი ალბერტ ნადი სევილიის „ბეტისიდან" მეორე ესპანურ კლუბში, „ოვიედოში" გადავიდა. ტრანსფერის თანხა უცნობია, თუმცა ის კი გაცხადდა, რომ ფეხბურთელმა ახალ გუნდთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ნადის „ოვიედოში" ძველ ნაცნობთან, მწვრთნელ ლუის არაგონესთან მოუწევს შეხვედრა — არაგონესი თავის დროზე სწორედ „ბეტისს" წვრთნიდა. იუგოსლაველი ფეხბურთელი პრიმერა დივიზიონის კლუბ „ბეტისში" სამი წლის წინ გადავიდა ბელგრადის „პარტიზანიდან".**

**დანიაში** პირველი ტურის მატჩები გაიმართა: ბრონდბიუ — ლიუნგბიუ 1:0, ვეილე — სილკებორგი 0:4, აკადემისკი — აგფ 1:0, ჰერფოლგე — ოლბორგი 3:1, ვიბორგი — კოპენჰაგენი 2:1, ესბიერგი — ოდენსე 2:0.

**ესპანეთის უმაღლეს ლიგაში — პრიმერა დივიზიონში აღზევებულმა „რაიო ვალეკანომ" განაცხადა, რომ კვირას ანგოლელ თავდამსხმელ კუინზინიოსთან კონტრაქტი გააფორმა. ესპანური გუნდისთვის ეს პირველი შენაძენია პრიმერა დივიზიონში აღზევების შემდეგ. კუინზინიო, რომლის სრული სახელია ჟაოკიმ და სილვა, „რაიო ვალეკანოში" ლისაბონის „სპორტინგიდან" გადავიდა. ანგოლელი თავდამსხმელი ესპანურ კლუბში ერთი წელი ითამაშებს. „რაიო ვალეკანოს" სურს ინგლისის „ლესტერის" მეკარე, ამერიკელი კეისი კელერი გადაიბიროს. შეგახსენებთ, რომ „რაიო ვალეკანო" „რეალის" და „ატლეტიკოს" შემდეგ მესამე მადრიდული კლუბი იქნება პრიმერა დივიზიონში.**

**სლოვაკეთის** მორიგი ჩემპიონატის პირველი ტურის რვავე შეხვედრა უქმეებზე გაიმართა: დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) — სპარტაკი (ტრნავა) 1:2, ჟილინა — კოშიცე 1:4, დუბნიცა — კობა (სენეცი) 0:1, ნიტრა — უმენი 1:0, ინტერი (ბრატისლავა) — რუზომბეროკი 2:3, ბანიკი (პრიევიძა) — ტრენჩინი 0:2, დუნაისკა სტრედა — არტმედია (პეტრზალკა) 1:1, ტატრანი (პრეშოვი) — სლოვაკი (ბრატისლავა) 1:1.

**ესპანეთის ნაკრების ყოფილი მცველი ალბერტო ბელსუე გაისად პრიმერა დივიზიონში აღზევებული „ნუმანსიას" ღირსებას დაიცავს. ბელსუემ ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა ხელშეკრულების სხვა პუნქტებზე არც ფეხბურთელს და არც „ნუმანსიას" წარმომადგენლებს არაფერი უთქვამთ. 31 წლის ბელსუე „ნუმანსიაში" „სარაგოსადან" გადავიდა. იგი ამ კლუბში 1989 წლიდან თამაშობდა. ცნობისთვის: 1994-97 წლებში ალბერტო ბელსუემ ესპანეთის ნაკრებში 17-ჯერ ითამაშა. იგი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.**

**სამხრეთ ჩინეთის** ნაკრებთან მატჩით „მანჩესტერ იუნაიტედმა" აზიური ტურნე დაამთავრა. ჩემპიონთა თასის მფლობელებმა ტედი შერინგემისა და ენდი კოულის გოლებით 2:0 მოიგეს.

საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელექომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა




სარბიელის არქივიდან

ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს სურს იგი გერმანელმა ფრანც ბეკენბაუერმა შეცვალოს

# ვინ შეცვლის ბლატერს?

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერის აზრით, მის შემდეგ, ფეხბურთის უმაღლეს მმართველ ორგანიზაციას გერმანელმა ფრანც ბეკენბაუერმა უნდა უთავკაცოს.

— ბეკენბაუერი იდეალური კანდიდატურაა. უბრალოდ, ვთვლი, რომ მომავალში ამ საქმეს მასზე უკეთ ვერვინ წაუძღვება — უთხრა ბლატერმა გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთ „ველტ ამ ზონტაგს".

ამჟამად მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტია. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე „კაიზერ ფრანცი" 2006 წლამდე დარჩება.

— ფიფას პრეზიდენტობისთვის მას ყველაფერი უწყობს ხელს. ჯერ ერთი, უზომოდ უყვარს ფეხბურთი და მეორე, მსგავს თანამდებობაზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს — განაცხადა ბლატერმა.

# მექსიკელები ჩაიჭრნენ



სარბიელის არქივიდან

მანუელ ლაპუენტე

მექსიკის ეროვნული ნაკრების ორი წევრი — რაულ ლარა და პაულო სეზარ ჩავესი გასულ შაბათს, ფიფას პერეზიდენტ ზეპ ბლატერის ბრძანებით, დოპინგის გამოყენების გამო ექვსი თვით მოიკვეთნენ აქტიური სპორტიდან.

სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო კონფედერაცია უკვე რამდენიმე წელიწადია, აქტიურად იბრძვის დოპინგის წინააღმდეგ, მაგრამ ამას დიდი შედეგი რომ არ მოაქვს, თავადაც აღიარებს. მისი განცხადებით, ლარას და ჩავესის გარდა კონტინენტზე უამრავი ფეხბურთელი იყენებს აკრძალულ პრეპარატებს, რომელთაგანაც ზოგიერთმა ახალხან დასრულებულ „კოპა ამერიკაზეც" იასპარეზა.

აღსანიშნავია, რომ ლარა და ჩავესი ნარკოტიკების ხმარებაში „კოპა ამერიკის" პირველი რაუნდის მატჩის წინ, ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგაც დაადანაშაულეს, თუმცა მაშინ ფიფამ ისინი დაინდო.

თანაგუნდელებს მექსიკის მთელმა ნაკრებმა და მთავარმა მწვრთნელმა მანუელ ლაპუენტემაც დაუჭირეს მხარი. ფეხბურთელთა განცხადებით, ლარა და ჩავესი გუნდს ძლიერ წაადგებიან ამჟამად მიმდინარე „კონფედერაციის თასზე". მექსიკელებმა ფიფას თხოვნით მიმართეს, რათა მათთვის სასჯელი შეემსუბუქებინა, მაგრამ ბლატერი ამჯერად შეუვალი აღმოჩნდა.

**ზვიად გაჩეჩილაძე**

# 48 საათი

სარბიელის არქივიდან

სატრანსფერო სეზონი ევროპაში დღითი დღე დასასრულს უახლოვდება. შორს არაა ის დრო, როცა კლუბები თავიანთი ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციებს იმ ფეხბურთელთა სი[illegible] გადასცემენ, რომლებიც მომავალ სეზონში მათ ღირსე[illegible] დაიცავენ. ამიტომაც ყველა ჩქარობს.

ჩქარობს ლონდონის „არსენალიც", მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მათ შავკანიან ფრანგ თავდამსხმელზე, ნიკოლა ანელკაზე, რომელსაც „მეთოფეთა" მიტოვება გადაუწყვეტია.

წარმოიდგინეთ, რომ თუ ანელკა „არსენალიდან" გადავა, მაშინ ლონდონელებს მის მაგივრად სხვა თავდამსხმელის შეძენა მოუწევთ, მაგრამ თუ ამას ფრანგი ინგლისში სატრანსფერო სეზონის დახურვის წინ გააკეთებს, მაშინ „მეთოფეებს" ელემენტარულად დრო აღარ ეყოფათ და წამყვანი მეგოლის გარეშე დარჩებიან. ეს კი „არსენალს" ნამდვილად არ სურს.

ამიტომაც „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა გასულ შაბათს „სენტ-ეტიენთან" გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელიც ფრედ 2:2 დამთავრდა, ანელკას ულტიმატუმი წაუყენა, ან უახლოეს 48 საათში იპოვი კლუბს, რომელიც იმ თანხას გადაიხდის, რომელსაც შენში „არსენალი" ითხოვს (არადა ეს თანხა არც მეტი, არც ნაკლები, 22 მილიონი გირვანქაა), ან მომავალ სეზონს ისევ ლონდონში გაატერებო.

— ველაპარაკე ანელკას და ყველაფერი ავუხსენი. მოხარული ვიქნები, თუ იგი შეიცვლის გადაწყვეტილებას კლუბიდან წასვლის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მის განკარგულებაში 48 საათია — თქვა ვენგერმა.

გუშინ დილით რომის „ლაციოს" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლუბი თანახმაა, ანელკას სანაცვლოდ 22 მილიონი გირვანქა გაიღოს, თუ ეს უკანასკნელი რომში ხუთ წელიწადს გაატარებს.

— უკვე განვაახლეთ მოლაპარაკებები რომაელებთან. როგორც ჩანს, მათ გადაწყვეტილი აქვთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეიძინონ ჩემი კლიენტი და, ვგონებ, ამას მიაღწევენ კიდეც, თუმცა არც საწინააღმდეგოს გამოვრიცხავ — განუცხადა ანელკას ერთ-ერთმა აგენტმა, მარკ როჯეტმა, ბრიტანულ მასმედიას.

ერთადერთი, რის გამოც ფრანგი თავდამსხმელი უარობს „ლაციოს", ისაა, რომ მისი ოცნების გუნდი მადრიდის „რეალია", სადაც მისი გადასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია და თუ საქმე ასარჩევად იქნება, მაშინ ის ლონდონს უეჭველად რომს ამჯობინებს.

გუშინ საღამოს ანელკას თანამემამულე და თანაგუნდელმა ემანუელ პეტიმ გაკიცხა ახალგაზრდა თავდამსხმელი: „არ მესმის, რას ითხოვს. მომავალ სეზონში ის კლუბის ნებისმიერ წევრზე ორჯერ მეტ ფულს მიიღებს, მაგრამ, მგონი, არც ეს ჰყოფნის. ნუთუ ვერ ხვდება, რომ მხოლოდ ფული არაფერია და „არსენალის" მაისურათი თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს".



სარბიელის არქივიდან

ნიკოლა ანელკა

ვერ ვიტყვით, განხორციელდება თუ არა ანელკას ყბადაღებული ტრანსფერი, მაგრამ თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ ის ბრიტანეთისთვის სარეკორდო იქნება. შეგახსენებთ, რომ დღემდე სარეკორდო ტრანსფერად 15 მილიონი გირვანქა ითვლება. სწორედ ამდენი გადაუხადა „ნიუკასლმა" „ბლექბერნს" ინგლისელი გოლეადორის — ალან შირერის სანაცვლოდ.

**ბოჭა ჭკადუა**

## საფრანგეთი

**ბორდო 0:1 ნანტი**

0:1 მონტერუბიო (57)

ბორდო: რამე, ბონისელი, ალიკარტი, აფანუ, გრენე, პავონი, რუვიერი (ფეინდუნო 74), მიკუ, ზიანი, ლასლანდი, ვილტორდი

ნანტი: ლანდრო, ოლემბე, ფაბრი, სავინო, შანელე, პიოსელი, კარიერი, დევინო (ლერუა 74), სიბიერსკი, და როშა, მონტერებიო (სიუფო78)

# საფრანგეთში სეზონი გაიხსნა

სიბიერსკის მშვენიერი პასი და მონტერუბიომ რამეს აჯობა, თან ისე, რომ სულაც არ აღელვებულა. ამ ერთადერთი გოლის წყალობით „ნანტმა" სეზონის პირველი ტიტული მოიხვეჭა — „ჩემპიონების ტროფეა". ჩვენებურად და ევროპის თითქმის ყველა სხვა სახელმწიფოშიც ამ თასს სუპერთასი ჰქვია და ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი ეცილებიან მას ერთმანეთს.

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გამართულ მატჩს „ბორდოსა" და „ნანტს" შორის ბოლო ტესტის მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომაც ფეხბურთელების მზადყოფნის კიდევ ერთხელ შესამოწმებლად ორივე გუნდის მწვრთნელმა საბრძოლო შემადგენლობები გამოიყვანა. შეხვედრა ჟირონდელებმა უკეთ დაიწყეს. პირველივე წუთზე პავონ-ვილტორდის სახიფათო კომბინაციას შეიძლებოდა, გოლი მოჰყოლოდა, მაგრამ ფაბრიმ განმუხტა სიტუაცია საკუთარ კართან. პირველ ნახევარში „ბორდოს" უფრო მეტჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა — ორჯერ ზიანის და ერთხელ მიკუს ამის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ იღბალმა ზურგი აქციათ. ისე, ბედი შესვენებამდე არც ნანტელებს სწყალობდათ, თორემ სახიფათო მომენტები მათაც შექმნეს.

მატჩის განახლების შემდეგ „ბორდოს" ცოტაოდენი დაღლა შეეტყო, რითიც მშვენივრად ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგემ, რომელმაც თამაში ძირითადად კონტრიერიშებზე ააგო და რამესა და მის მცველებს ბევრი თავსატეხიც გაუჩინა. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას კი „ბორდოს" მეკარე უკვე უძლური აღმოჩნდა რამე ელონა და სიბიერსკის უზუსტესი და ულამაზესი პასის შემდეგ მონტერუბიომ გამარჯვების გოლი გაიტანა. ათი წუთის შემდეგ და როშას შეეძლო ანგარიშში სხვაობა გაეორმაგებინა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია. ისე, სხვათა შორის, სწორედ ულრიხ რამე იყო მეორე ტაიმში თავისი გუნდის საუკეთესო მოთამაშე და მისი დამსახურებაა, „ნანტმა" უფრო დიდი სხვაობით რომ ვერ გაიმარჯვა.

ამიენის განახლებულ სტადიონ „ლიკორნზე" მოპოვებული ამ ტიტულით „ნანტი" ძალიან გახარებული იყო და მისმა მწვრთნელმა დენუემ პირველ ტურში „ლე ავრის" მასპინძლობისას აუცილებელი გამარჯვებაც დაგეგმა. შაბათიც მალე მოვა. ვნახოთ, რამდენად რეალისტია ნანტელთა დამრიგებელი.

**გაიოზ თალაკვაძე**

# უბერებელი გერმანელი



სარბიელის არქივიდან

ლოთარ მათეუსი

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ვეტერანი ლიბერო ლოთარ მათეუსი თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში წლეულს მეორედ გახდა გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი.

ჟურნალ „კიკერის" მიერ ჩატარებულ ყოველწლიურ გამოკითხვაში 982 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა და აქედან 556-მა უძლიერესად 38 წლის მათეუსი აღიარა, რომელმაც გასულ შაბათს ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ 137-ედ დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება. გამოკითხვაში მეორეზე 161 ხმით ბერლინის „ჰერტას" თავდამსხმელი მიხაელ პრეეტცი, ხოლო მესამეზე ლევერკუზენის „ბაიერის" მეგოლე ოლივერ ნოივილია (48).

ანალოგიურ გამოკითხვაში შარშან გამარჯვებული, „მილანში" მოასპარეზე ოლივერ ბირჰოფი წლეულს მეოთხე იყო. მან მხოლოდ 35 ხმის მოპოვება შეძლო.

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), [illegible] (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), [illegible] ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როჯატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უნდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), ავასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კოშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია);** ჩელსი: **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), **აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია);** ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); კოვენთრი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა)*, **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული); ჯორჯ ბოატენგი (კოვენთრი)***

## გერმანია

ბაიერნი: ალი დაეი (ჰერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), პაულო სერჟიო (რომა, იტალია), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი);** დორტმუნდი: თომას ჰესლერი (მიუნხენი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი); **ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი);** შალკე: ფროდე გროდასი (რასინგი, ესპანეთი); შტუტგარტი: ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი); **სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია);**

## ესპანეთი

REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეჰუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნ'ჟიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერო (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (კოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ელუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალეჰ დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდე გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინა (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია);** ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), ფუტულე (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე); კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლი (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდო (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი);** მარსელი: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პაბლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევიზანი (გინგამი);** მონაკო: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ);** პსჟ: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე);**

## სხვადასხვა

პორტუ (პორტუგალია): იუსუფ ჩიპო (კოვენთრი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); სპორტინგი (პორტუგალია): გაბრიელ ჰაინცე (ვალიადოლიდი, ესპანეთი), სიმაო საბროსა (ბარსელონა, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);** ლიერსი (ბელგია): სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); რეინჯერსი (შოტლანდია): სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ შარბონიე (პერუჯა, იტალია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*



[illegible] ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი ეტაპი

პირველი წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ვალეტა (მალტა) | (1,01-15,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | ანორთოსისი (კვიპროსი) — სლოვანი (სლოვაკეთი) | (3,1-1,25) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | პარტიზანი (იუგოსლავია) — რიეკა (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | ცსკა (რუსეთი) — მოლდე (ნორვეგია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ლიტექსი (ბულგარეთი) — ვიძევი (პოლონეთი) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ჰაკა (ფინეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | დინამო (საქართველო) — ზიმბრუ (მოლდოვა) | ანგარიში — 5,0 | | | |
| | დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — აიკ (შვედეთი) | (5,0-1,1) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | სლოგა (მაკედონია) — ბრონდბიუ (დანია) | (4,0-1,15) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | დინამო (უკრაინა) — ჟალგირისი (ლიტვა) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ვესტმანაეიარი (ისლანდია) — მტკ (უნგრეთი) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | მარიბორი (სლოვენია) — გენკი (ბელგია) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | რაპიდი (ბუჰარესტი, რუმინეთი) — სკონტო (ლატვია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი

პირველი წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | როსტსელმაში (რუსეთი) — იუვენტუსი (იტალია) | (7,5-1,05) | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | რენი (საფრანგეთი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ვესტ ჰემი (ინგლისი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | მეცი (საფრანგეთი) — პოლონია (პოლონეთი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | დუისბურგი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) | (1,6-1,8) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ჰამბურგი (გერმანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.07 | ტიროლი — ლინცერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | გრაცერი — ზალცბურგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | რიდი — ლუსტენაუ | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.07 | სპარტაკი — ზენიტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | სატურნი — ლოკომოტივი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ნ.ნოვგოროდი — დინამო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ტორპედო — კრილია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როტორი — ურალანი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჟემჩუჟინა — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### შვედეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.07 | იორებრო — გიოტებორგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### კონფედერაციათა თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.07 | საუდეთი — ბოლივია | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | მექსიკა — ეგვიპტე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 28.07 | გერმანია — ზელანდია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ბრაზილია — აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 29.07 | ეგვიპტე — საუდეთი | | | |
| | ბოლივია — მექსიკა | | | |

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

### ქვეყნის ჩემპიონატები

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

## ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

UEFA CUP

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „იმერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუგოსლავია: ახალი ოქროს თაობა!
## საქართველომ კარი გაიჯახუნა




**ევროპის კადეტთა ჩემპიონატი**
**15-24.07.99 სლოვენია**

23 ივლისი

### ნახევარფინალი

**საბერძნეთი 71:64 თურქეთი**

საბერძნეთი: ზისისი (29), კუმბურასი (7), გალისი, თეოსი (2), გეორგალისი (11), პაპადოპულოსი (2), მიცოპულოსი (2), გიზოიანისი (18)

თურქეთი: ვეისელოღლუ (6), ა. ილმაზი (6), აქინი (11), ბაირაქი (1), ექმენი (10), ურალი (10), აქფინარი, არსლანი (15), ეროლი, პასტალი (5)

საბერძნეთი მეორე ტაიმის დასაწყისში 10 ქულით დაწინაურდა და მატჩის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდა.

**იუგოსლავია 67:49 საფრანგეთი**

იუგოსლავია: სტეფანოვი (4), ბაკიჩი (4), გაიჩი (17), მატოვიჩი (8), პავლოვიჩი, ჯორჯევიჩი (5), კოვაჩი (15), ნიშავიჩი, ბულატოვიჩი (11), ანდონოვი (3), ტომოვიჩი

საფრანგეთი: გუერი (4), გოტიე (2), მუილარი, კაჩმაროვი (4), ნიჟანი (11), ბონო, დორო (17), ბასეტო (5), მაზო, ტურიაფი, ევტიმოვი, ოიონო (6)

იუგოსლავიამ გააგრძელა წაუგებელი სვლა და ფრანგებს არავითარი შანსი არ დაუტოვა. ანგარიში მათ სასარგებლოდ იზრდებოდა: 8:8 (მე-7 წუთზე), 16:2 (მე-11 წუთზე), 32:12 (მე-16 წუთზე)... გამარჯვებულთა მწვრთნელმა პეტარ როდიჩმა თავის მოსწავლეებს „იუგოსლავიის ახალი ოქროს თაობა" უწოდა. იუგოსლაველმა კადეტებმა მეშვიდედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონობა.

### V-VIII ადგილები

**საქართველო 62:72 ლატვია**

საქართველო: ვაშაკიძე, კეიდია (7), მარხვაშვილი, ტულუში (13), სულაძე, ბერიშვილი (3), მარკოიშვილი (6), ჩავლეიშვილი, ფაჩულია (20), უგრეხელიძე (5), ცქიტიშვილი (8)

ლატვია: სკელე (18), ზელტინსი, პირსკო (13), იანისენოკსი (26), პუჩე, პილკევიჩსი (4), სილინსი (6), მელდერისი (4), იანსონსი (1)

**მაკედონია 91:77 ესპანეთი**

24 ივლისი

### ფინალი

**იუგოსლავია 59:48 საბერძნეთი**
(I ტაიმი 25:26)

იუგოსლავია: სტეფანოვი (5), ბაკიჩი (10), გაიჩი (6), მატოვიჩი (9), პავლოვიჩი (5), ჯორჯევიჩი (5), კოვაჩი (12), ბულატოვიჩი (7), ტომოვიჩი

საბერძნეთი: კალაიცაკისი, ზისისი (14), კუმბურასი (13), სპიროსი (7), თეოსი (2), გეორგალისი, პაპადოპულოსი (4), მიცოპულოსი, გიზოიანისი (8)

ფინალურ მატჩს 2 ათასი კაცი დაესწრო. იუგოსლავიამ პერსონალური, კაცი-კაცზე დაცვა აირჩია და თავიდან საქმე კარგად წაუვიდა — 14:7 იგებდა. საბერძნეთი გაცილებით აგრესიულად ათამაშდა, სისწრაფეს მოუმატა და სულ რალაც ორიოდ წუთში 12:17 ჩამორჩენა 24:20 დაწინაურებად აქცია. ტაიმიც მისივე უპირატესობით დასრულდა.

საბერძნეთი მეორე ტაიმშიც იგებდა, ოღონდ 33:31 (26-ე წუთზე) მისი ბოლო დაწინაურება აღმოჩნდა. იუგოსლავიამ შეცვალა დაცვა და ზონური, 3-2 სისტემა აირჩია. ამით ბერძენთა ბომბარდირი ნიკოლაოს ზისისი (მეორე ტაიმში 2 ქულა) გათიშული აღმოჩნდა და იუგები 43:37 გავიდნენ წინ. ამას მირკო კოვაჩმა ზედიზედ ორი სამქულიანი დაურთო და იუგოსლავიამ შეინარჩუნა კადეტებში ევროპის ჩემპიონის ტიტული.

პეტარ როდიჩი, ჩემპიონთა მწვრთნელი: „ამ გუნდის შექმნა 3 წლის წინ დავიწყეთ. ამ ხნის განმავლობაში ერთად 350 დღე დავყავით, რის გამოც მოთამაშეებს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ამ ჩემპიონატზე მეორე შემადგენლობაც რომ ჩამოგვეყვანა, ნახევარფინალში მაინც გავიდოდით".

### III ადგილისთვის

**თურქეთი 81:63 საფრანგეთი**

თურქეთი: ვეისელოღლუ (6), ა. ილმაზი (15), აქინი (14), ოზერი (5), ექმენი (7), ურალი, აქფინარი (3), არსლანი (14), ეროლი (3), პასტალი (14), ო. ილმაზი

საფრანგეთი: გუერი (5), გოტიე, მუილარი (3), კაჩმაროვი (4), ნიჟანი (5), ბონო (4), დორო (20), ბასეტო (6), ტურიაფი (6), ევტიმოვი (4), ოიონო (6)

მოდი და გაიგე რამე კადეტების. საქართველომ თურქეთს 30 ქულით გადაურბინა, ხოლო საფრანგეთმა სადაც დაიჭირა საქართველო, იქ მოუგო, მათ შორის ამ ჩემპიონატის ნახევარფინალში. ახლა კი თურქები თამაშ-თამაშ გაუსწორდნენ ფრანგებს და ქართველებს ერთგვარი სამადლობელიც უძღვნეს: საქართველოს ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში სლოვენია რომ არ დაემარცხებინა, თურქეთი ჯგუფში რჩებოდა და, ცხადია, ვერც ბრინჯაოს მედლებით გაიხარებდა.

### V ადგილისთვის

**ლატვია 90:85 მაკედონია**

უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა.

### VII ადგილისთვის

**საქართველო 109:75 ესპანეთი**

საქართველო: ვაშაკიძე (3), კეიდია (9), ტულუში (30), სულაძე (2), ბერიშვილი (13), მარკოიშვილი (13), ჩავლეიშვილი (2), ფაჩულია (13), უგრეხელიძე (7), ცქიტიშვილი (17)

ესპანეთი: კორეასი (4), ლოპესი (17), მოლინა (7), რუისი (10), ესკობარი (8), გალარეტა, ნავარო (6), ფერნანდესი (12), პერისი (3), ფერისი (5), სონსეკა (3)

საქართველოს ნაკრებს ყველა მატჩი ასე რომ ეთამაშა, იქნებ რომელიმე მედლისთვისაც გამოეკრა ხელი, ახლა კი ეს შთამბეჭდავი გამარჯვება მხოლოდ კარის გაჯახუნებადღა თუ გამოდგება. რაც ყველაზე თვალშისაცემია: ქართველებმა კარგად ესროლეს საჯარიმოები — 31-დან 25 გამოიყენეს (81 პროცენტი), ფარზე ესპანელები არ გაახარეს (41:21), ასევე აშკარა იყო ჩვენებურთა უპირატესობა პასებსა (9:4) და ჩაჭრებში (19:10)

### საუკეთესო ხუთეული

ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელების გამოკითხვით, გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო ხუთეული, რომელშიც მოხვდნენ:

*ალექსანდერ გაიჩი (უკანა ხაზი, იუგოსლავია); ნიკოლაოს ზისისი (უკანა ხაზი, საბერძნეთი); კრისტაპს იანისენოკსი (ფორვარდი, ლატვია); ჟულიენ დორო (ფორვარდი, საფრანგეთი); ნემანია მატოვიჩი (ცენტრი, იუგოსლავია)*

უძვირფასესი მოთამაშე: *ალექსანდერ გაიჩი (იუგოსლავია)*

### კლასიფიკაცია

1 იუგოსლავია, 2 საბერძნეთი, 3 თურქეთი, 4 საფრანგეთი, 5 ლატვია, 6 მაკედონია, 7 საქართველო, 8 ესპანეთი, 9 ხორვატია, 10 პოლონეთი, 11 რუსეთი, 12 სლოვენია




REUTERS-ის ფოტო

ესპანეთი — აშშ. ესპანელ კარლოს კაბესასს (ბურთით) ამერიკელი კეისი ჯეკობსონი ებრძვის

# ესპანეთი!




**მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი**
**15-25.07.99 პორტუგალია**

### ნახევარფინალი

24 ივლისი

**აშშ 83:62 ხორვატია**

**ესპანეთი 81:80 არგენტინა**

25 ივლისი

### ფინალი

**ესპანეთი 94:87 აშშ**

ესპანეთი: კაბესა, როდრიგესი, კაბესასი (5), ნავარო (27), რეიესი (9), დრამე (9), ბუენო (7), ერაისი, გაბრიელი (17), ლოპესი (13), გასოლი (7)

აშშ: ლოგანი (18), დულინგი (12), ჰოლი, ჯეკობსონი (4), ლეპორი (8), კ. ვილიამსი (7), სიმონსი (19), კოლისონი (2), პარკერი (2), ლ. ვილიამსი (7), რაიტი (7)

### III ადგილისთვის

**ხორვატია 66:59 არგენტინა**

ხორვატია: სუბოტიჩი (11), სამაჩი, მალიჩი (6), მორიჩი (6), დევჩიჩი, ჯიდიჩი (5), პლანინიჩი, სტოიჩი (24), ბაგარიჩი (2), ჟიჟიჩი (12), სკალაბრინი

არგენტინა: ალბა (12), კამერიხსი (5), მიკულასი (8), კორჩიარი (5), კარისო (4), კალდერონი, ფრანკო (3), მალარა (5), ლაურო (8), ლეივა (6), ჩახაბი (13)

V ადგილისთვის: ავსტრალია — რუსეთი 63:51

VII ადგილისთვის: საბერძნეთი — ბრაზილია 84:61

IX ადგილისთვის: ლატვია — ყატარი 68:61

### კლასიფიკაცია

1 ესპანეთი, 2 აშშ, 3 ხორვატია, 4 არგენტინა, 5 ავსტრალია, 6 რუსეთი, 7 საბერძნეთი, 8 ბრაზილია, 9 ლატვია, 10 ყატარი, 11 ნიგერია, 12 ვენესუელა, 13 ეგვიპტე, 14 იაპონია, 15 ჩინეთი, 16 პორტუგალია


**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08





**ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი**
**15-25.07.99 პუერტო რიკო**

24 ივლისი

### ნახევარფინალი

**კანადა 83:71 პუერტო რიკო**

**აშშ 88:59 არგენტინა**

აშშ: გარნეტი (11), დანკანი (7), ჰიუსტონი (9), კიდი (4), პეიტონი (15), სმიტი (7), ჰარდევეი (17), გულიოტა (10), ბეიკერი (4), შჩერბიაკი, ბრენდი (4)

ამ დღეს ოფიციალურად უნდა გარკვეულიყო სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელთა ვინაობა. უპირველესად ეს საქმე კანადამ მოილია, რომელმაც დაძაბულ მატჩში აჯობა ტურნირის მასპინძელ პუერტო რიკოს. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩამდე სამი დღით ადრე პუერტო რიკომ 80:75 მოუგო კანადას.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები რასაც იზამდა, იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ მატჩის ოქმს შევსება ხომ უნდა?

# USA
## ლეგენდა არ იმსხვრევა!

ჰოდა, როცა ყველა ამ განწყობით იყო აღვსილი, პირველი ტაიმის ათი წუთი მიილია და არგენტინა იგებდა. მაყურებელს გულმა რეჩხი უყო: ემანდ, ამერიკული ლეგენდა თვალწინ არ შემოგვემსხვრესო, მაგრამ ეიფორია ორიოდ წუთს გაგრძელდა. ამერიკელებმა მძლავრად შეუტიეს, კევინ გარნეტმა ბურთი პლუს საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ვინ ბეიკერმა ზედიზედ ოთხი ქულა მიითვალა. სამწუთიანი მონაკვეთი აშშ-მა 12:0 მოიგო და 32:23 დაწინაურდა.

ამის მერე შეხვედრამ ინტერესი დაკარგა. შესვენებისთვის აშშ 49:35 იგებდა, ხოლო მეორე ტაიმი 8:2 „გაქცევით" დაიწყო. ფავორიტების უპირატესობა 17 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოსულა, ყველაზე დიდი კი, 29 ქულა, მატჩის საბოლოო ანგარიშში გამოხატა.

25 ივლისი

### ფინალი

**აშშ 92:66 კანადა**

აშშ: გარნეტი (10), დანკანი (12), ჰიუსტონი (4), კიდი (10), პეიტონი (19), სმიტი (11), ჰარდევეი (14), გულიოტა (10), ბეიკერი, შჩერბიაკი (2), ბრენდი

კანადა: ბარეტი (6), გუარასკი, მიკსი (4), ჰამილტონი (4), ნეში (11), მაკტავიში, მევისი (12), სვორდსი (2), ვასელი, ანდერსონი (3), მაკკალოფი (22), ნიუტონი (2)

ეს მატჩი იმისთვისღა იყო, რომ ჩემპიონის სარგო თასს პატრონი გამოსჩენოდა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ვისაც უნდა მოეგო, იმან მოიგო და ტურნირზე გამარჯვებათა რაოდენობა ორნიშნა გახადა — ამერიკის ანგარიშზე 10-დან 10 მოგებაა.

ამერიკელებს ერთობ გაუხარდათ მოგება, ხოლო კევინ გარნეტმა თქვა, ძალიან მინდა საოლიმპიადო გუნდში მოვხვდე და სიდნეის ოქრო მოვიპოვოო.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, სიდნეის ოლიმპიადამდე, წესით აღარ უნდა შეკრებილიყო, მაგრამ შტატების კალათბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა უორენ ბრაუნმა გამოაცხადა, რომ 2000 წლის სექტემბერში, ზედ თამაშების წინ, აშშ-ის გუნდი იაპონიაში ორ მატჩს გამართავს, ესპანეთთან და იაპონიასთან.

ტურნირის მესამედგილოსნის გამოსავლენად არგენტინამ 103:101 მოუგო პუერტო რიკოს.



NBA PHOTOS-ის ხუნანიდან

აშშ-ის ნაკრები ტურნირის მოგებას ზეიმობს

### სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებენ

| | | |
|---|---|---|
| 1 | იუგოსლავია | (მსოფლიოს ჩემპიონი) |
| 2 | ავსტრალია | (ოლიმპიადის მასპინძელი) |
| 3 | იტალია | (ევროპის ჩემპიონი) |
| 4 | ესპანეთი | (ევროპის ვიცე ჩემპიონი) |
| 5 | საფრანგეთი | (მესამე გუნდი ევროპიდან) |
| 6 | ლიტვა | (მეოთხე გუნდი ევროპიდან) |
| 7 | რუსეთი | (მეხუთე გუნდი ევროპიდან) |
| 8 | აშშ | (ამერიკის ზონის ჩემპიონი) |
| 9 | კანადა | (ამერიკის ზონის ვიცე ჩემპიონი) |
| **უნდა გამოვლინდნენ** | | |
| 10 | აზიის ჩემპიონი | |
| 11 | აფრიკის ჩემპიონი | |
| 12* | წყნარი ოკეანის და ოკეანეთის ზონის ჩემპიონი ან ვიცე ჩემპიონი | |

**იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი ავსტრალია გახდება, ოლიმპიადაზე აღნიშნული ზონის ვიცე ჩემპიონი გაემგზავრება*

# მიხედეთ ბავშვებს
## ნუ უყურებთ მარტო ტელევიზორს
## ურჩევს ქართველ მწვრთნელებს უელსელი ჯეისონ ლუისი



**ვინ არის და რას წარმოადგენს ჯეისონ ლუისი? რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში? ბუნებრივია, ეს და სხვაც მრავალი აინტერებს რაგბის ქართველ გულშემატკივარს. უელსელი სპეციალისტი ორკვირიანი ვიზიტით ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. მან ქართველ მწვრთნელთა მუშაობა უნდა შეისწავლოს და საჭიროებისამებრ კორექტივებიც შეიტანოს მათ საქმიანობაში. კი, ბატონო, მადლობის მეტი რა გვეთქმისო, იტყვის მავანი, მაგრამ ჩვენი მწვრთნელების სასწავლებლად რომ ჩამოიყვანეს, თავად რა ცოდნის კაციაო. ეჭვი ეჭვად, მაგრამ მისი შემხედვარე ნამდვილად ვერ იფიქრებ, რომ უცოდინარია. ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც იცის, ჩვენ გვასწავლოს და ასეც იქცევა.**

**და მაინც... ჩვენი საუბარი ჯეისონ ლუისთან უელსში მისი საქმიანობით დავიწყეთ**

— 30 წლის ვარ, უელსის რაგბის კავშირში ვმუშაობ, ქვეყანაში რაგბის განვითარების განყოფილებაში. ჩემი მოვალეობაა, ახალგაზრდა მოთამაშეები მოვძებნო და მაღალი დონის გუნდებში გადავანაწილო. რვა წლიდან ვთამაშობდი რაგბის. უმაღლეს დონეზე რა მოგახსენოთ, გამოვდიოდი მეორე დივიზიონის კლუბებში და ახლაც ჩემი ქალაქის — ბრიჯენდის გუნდში ვარ.

**— როგორ მოხვდით საქართველოში?**

— უელსის რაგბის კავშირში პირველად მაშინ დაიწყო ამაზე საუბარი, როცა თბილისის „ლოკომოტივიდან" მოწვევა მოვიდა, მერე ჩვენებმა საქართველოს რაგბის კავშირის დასტურიც მოითხოვეს, ისიც მივიღეთ. მანამდე კი მიშა ხარატი დაუკავშირდა ჩვენი რაგბის კავშირის დირექტორს, მან კი ჩვენი განყოფილების უფროსთან გამგზავნა, ბარი სამუელსთან, რომელმაც კონკრეტულად მე დამავალა საქართველოში ჩამოსვლა.

**— რა მისიით ბრძანდებით ჩვენს ქვეყანაში?**

— იმასთან ერთად, რაც ჩემს საქმიანობაზე გითხარით, ასე ვთქვათ, მწვრთნელთა მასწავლებელი ვარ. ეს არა მარტო თეორიულ მეცადინეობებს გულისხმობს, არამედ პრაქტიკულსაც და ზოგიერ გუნდსაც ვწვრთნი-ხოლმე. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანია, დავაკვირდე თქვენი მწვრთნელების მუშაობას როგორც ბავშვებთან, ასევე პროფესიონალ მორაგბეებთან — როგორი ტიპის ვარჯიშებია, რა კეთდება მცდარად ან პირიქით და თუ საჭიროა, კორექტივებიც შევიტანო მათ საქმიანობაში, თუ ეს მათთვის მისაღები იქნება, რა თქმა უნდა.

**— დაკვირვების საშუალება უკვე გქონდათ...**

— დიახ, ჩამოსვლისთანავე დავესწარი „ზორდას" და „ლოკომოტივის" ვარჯიშებს. მეორე დღეს კი უკვე ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშის ხილვის საშუალება მომეცა, გარდა ამისა, მწვრთნელებსაც გავესაუბრე ცალ-ცალკე.

**— როგორ ფიქრობთ, რა ხარვეზები აქვთ ჩვენს მწვრთნელებს?**

— უპირველესად, სანამ ხარვეზებზე ვიტყოდე, ჩემთვის სიურპრიზი გახლდათ რაგბის მაღალი დონე საქართველოში. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. გუშინ ბავშვთა თამაში ვნახე და აღფრთოვანებული დავრჩი, ისეთი მონდომებული იყვნენ და იმდენად გამართულ რაგბის თამაშობდნენ. რაც შეეხება ხარვეზებს, ვარჯიშის და თამაშის ყურებისას იგრძნობა, რომ თქვენ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდით. როგორც ჩანს, თქვენი მწვრთნელები თამაშებს მხოლოდ ტელევიზორში უყურებენ და ცდილობენ, რასაც ხედავენ, ის გადმოიტანონ გუნდში, მორაგბეებიც იმდაგვარად ათამაშონ. ეს ხანდახან ძალიან კარგადაც გამოსდით, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მათ არ იციან, ეს რისთვის კეთდება, როგორი მომზადების შემდეგ ახერხებს მოთამაშე ამის გაკეთებას. ეს ინფორმაცია ქართველ მწვრთნელებს არ მოეპოვებათ და, ალბათ, ამის ობიექტური მიზეზებიც არსებობს. ის პერიოდი, როცა ბავშვი პროფესიონალ მორაგბედ ყალიბდება, თქვენთან დაკარგულია, უფრო ზუსტად, არ იციან, როგორ აღზარდონ ბავშვი. ამის გამოსწორება ნაწილობრივ იმით შეიძლება, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს მოთამაშეთა ინდივიდუალურ მომზადებას. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე ან პასის დამუშავებაზე. ლაპარაკია კომპლექსურ ვარჯიშებზე, იგივე მოედნის ხედვა როგორ უნდა გაუუმჯობესდეს მორაგბეს, რა სიტუაციაში როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს. აი, ამის შემდეგ, როცა თითოეული მოთამაშის დონე ამაღლდება, უნდა მოხდეს იმ რთული კომბინაციების დამუშავება, რასაც თქვენ ტელევიზორში უყურებთ. მე საკმაო ლიტერატურა ჩამოვიტანე და, ვფიქრობ, ის დიდ დახმარებას გაგიწევთ.

**— რამდენადაც ვიცით, საქართველოში ორი კვირით ხართ ჩამოსული. მომავალში თუ გაგრძელდება თქვენი ურთიერთობა ქართველ მწვრთნელებთან?**

— ეს უკვე ჩემზე მეტად თქვენზე იქნება დამოკიდებული. ლიტერატურას მე ყოველთვის მოგაწვდით, მაგრამ ყველაზე კარგი იქნება, თუ მოხერხდა ქართველი მწვრთნელების უელსში ჩამოსვლა. იქ უკვე მე მივხედავ მათ და საშუალებას მივცემ, ჩვენს მწვრთნელებთან ერთად იმუშაონ, საკლუბო დონეზე იქნება, თუ სანაკრებოზე. ნახონ და შეისწავლონ ის სისტემები, რითაც ისინი მუშაობენ. დამიჯერეთ, უფრო მეტს შეისწავლიან, რადგან ძნელია, როცა არავინ არაფერი იცის და მათ ერთი კაცი უხსნის რაღაცას, იქ კი ყველაფერს უფრო ადვილად აღიქვამენ. და კიდევ, თქვენთან თვითონ მწვრთნელთა მომზადების სისტემაა შესაცვლელი, რადგან, ვიმეორებ, თქვენთან არ ხდება ბავშვის აღზრდა.

**— მოდით, ახლა უელსის ნაკრებს შევეხოთ. რით არის გამოწვეული, რომ ნაკრებს ახალზელანდიელი თავკაცი ჰყავს. ნუთუ უელსში არ მოიძებნება უმაღლესი დონის მწვრთნელი, რომელიც ნაკრების ხელმძღვანელობას შეძლებდა?**

— უმაღლესი დონე ფარდე ცნებაა, რა თქმა უნდა, გვყავს მწვრთნელები, რომლებიც ევროპის დონისანი არიან, მაგრამ გრეჰემ ჰენრი სულ სხვაა. არც კი ვიცი, ამას რა ვუწოდო. ძალიან დიდი განსხვავებაა მასსა და სხვა მწვრთნელებს შორის. მან შეძლო ჩვენი მოთამაშეებისგან მეტი გამოეწურა. ფაქტობრივად, მორაგბეებმა ადრინდელთან შედარებით 30 პროცენტით მოუმატეს. იგი დიდად პატივცემული პიროვნებაა ჩვენში.

**— ვიცით, რომ არც ახალზელანდიელ მორაგბეებზე ამბობთ უარს...**

— ნაკრებში მხოლოდ ერთი ახალზელანდიელი გვყავს — მცველი შეინ ჰოვართი, ისიც იმიტომ, რომ მისი მშობლები უელსელები არიან. მგონი, ამაში ცუდი არაფერია. იმავე ახალზელანდიელებს და ავსტრალიელებს ნაკრებში, სულ მცირე, სამი უცხოტომელი ჰყავთ.

**— რით ახსნით სამხრეთული რაგბის უპირატესობას ჩრდილოურთან შედარებით?**

— უპირველესად თვალში საცემია სამხრეთელების კარგი ფიზიკური მომზადება, ისინი ბუნებრივად დიდები და სწრაფები არიან და ვარჯიშის შედეგად კიდევ უფრო ღონივრები და სწრაფები ხდებიან, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ისინი ხედავენ თამაშს და სხვანაირი სტილი აქვთ, ის, რაც ევროპელებმა კონსერვატორობის გამო გარკვეულ პერიოდში დაკარგეს. ახლა კი ისინი ძალიან წინ წავიდნენ და ჩვენ ყოველთვის მდევრის როლში ვართ. ეს თავადაც კარგად იციან და როგორც კი ცოტათი მივუახლოვდებით, მაშინვე ცვლიან სტილს, ამის შესაძლებლობა მათ აქვთ და ისევ მდევრის როლში აღმოვჩნდებით ხოლმე.

**— დაბოლოს, როგორ აფასებთ უელსის ნაკრების შანსებს მსოფლიოს თასზე?**

— ვფიქრობ, მოიგებს ახალი ზელანდია. მეორე იქნება სამხრეთ აფრიკა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დაშავებული მობურთალების გუნდში დაბრუნება მოხერხდა. თუ არადა, მეორეობას, ალბათ, ინგლისელები შეძლებენ. ჩვენ რაც შეგვეხება, მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეგვიძლია, ოთხეულში მოხვედრაა, მაგრამ ამისათვის ავსტრალიელთა წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიწევს, რომლებიც ჩვენსავით ოთხეულში თუ მოხვდებიან, მეტს ვერ შეძლებენ.

**პაატა თოთაძე**

# მარტო რობიტაშვილს მოხვდეს?!

| |
|---|
| მეთოთხმეტე ტური<br>ბათუმი<br>25 ივლისი |
| **დათვები 22:5 (17:5) ზორდა** |
| **დათვები:** რეხვიაშვილი, გურეშიძე, აშვეთია, აბაშიძე (ნინიძე), თედორაძე, გოგისვანიძე, სვანიძე, აბდალაძე (ფხაკაძე), გიორგაძე, მაჩიტიძე, ხონელიძე, ეძაგნიძე (დავლაძე), ძოწენიძე, შარვაშიძე, ჩუბინიძე |
| **3ლ** — ძოწენიძე (2), ფხაკაძე; **1გ და 1ა** — მაჩიტიძე |
| **ზორდა:** თეზელაშვილი (ჯაფარაშვილი), ჭელიძე, ბერიშვილი (ხოჭოლავა), ბურდული (ჩაკვეტაძე), მჭედლიშვილი, ვართანიანი, ხაბეიშვილი, ობოლაძე, დიდებულიძე, გამყრელიძე, პარასკევაშვილი, სორდია, მაისურაძე, ჩაკვეტაძე, აბაშიძე |
| **1ლ** — მჭედლიშვილი |
| **მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი |
| **მეთვალყურე:** ლ. მგელაძე |

ცუდად მიუდის საქმე ქართულ რაგბის. ისედაც დაჩიავებულს ამ ბოლო დროს ერთი სენიც შეეყარა — მსაჯთა გამოუცხადებლობა ეროვნული პირველობის მატჩებზე. ასე იყო წინა ტურში „ყოჩები" — „ლოკომოტივი 1"-ის შეხვედრაზე. ასე იყო ახლაც (აღარაფერს ვამბობთ ქუთაისში მომხდარზე) და...

ორჯერვე მატჩის განსჯამ ნოდარ რობიტაშვილს მოუწია.

ორჯერვე მწვრთნელები მისი ნამოქმედარით უკმაყოფილო დარჩნენ.

ორჯერვე ჯოხი ნოდარ რობიტაშვილზე გადატყდა.

არა იმაზე, ვინც გაურკვეველი მიზეზების გამო უარი თქვა მსაჯობაზე, უფრო ზუსტად, არ გამოცხადდა მატჩზე, მისი უარის შესახებ კი არავინ არაფერი იცოდა. ან იცოდა, მაგრამ...

არა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაზე, რომელმაც ისიც კი ვერ უზრუნველყო, მსაჯები უეჭველად გამოცხადებულიყვნენ თამაშზე, არამედ ნოდარ რობიტაშვილზე, რომელმაც მხოლოდ იმის გამო იმსაჯა, რომ მატჩი არ ჩაშლილიყო. როგორ იმსაჯა, ეს უკვე სხვა საკითხია, თუმცა, ცხადია, ისე იმსაჯა, როგორც შეეძლო.

რაც შეეხება თავად მატჩს, ნათელი იყო, რომ პირველობის ლიდერები მოგებას პრემიალური ქულის მოპოვებით შეეცდებოდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამაში მასპინძლებს მეტოქეც წაეხმარა. რომ არა ზორდელთა ორი უხეში შეცდომა, პირველ ნახევარში „დათვები", ალბათ, პრემიალურის გარეშე დარჩებოდნენ.

საწყის ათ წუთში მეტოქეებს ლელოს გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ ორჯერვე შეტევის დაბოლოებისას შესცოდეს. მე-14 წუთზე კი სტუმრებმა პირველი უხეში შეცდომა დაუშვეს — ხონელიძე პარასკევაშვილს დაუსხლტა და მისი პასით ძოწენიძემ თანაგუნდელები დააწინაურა. ათი წუთი „ზორდას" შეტევებში გაილია, მერე კი სტუმრები მეორედ შეცდნენ და ძოწენიძემ ისინი მეორედაც დასაჯა. ორ წუთში მაჩიტიძემ არეკნიც მიითვალა 17:0. ეს საკმაოდ დიდი სხვაობა იყო, მით უფრო, რომ სტუმრები თითქმის არაფერში უდებდნენ ტოლს მასპინძლებს. ტაიმის ბოლოს კი მათაც გაიხარეს — ბათუმელთა სალელოე მოედნიდან ახლოს მოგებული აუტი მჭედლიშვილმა ლელოდ აქცია.

მეორე ტაიმში მცირე უპირატესობას „დათვები" ფლობდნენ, თუმცა მისი ანგარიშში გამოხატვა მატჩის ბოლ წუთამდე ვერ შეძლეს. სტუმრებიც ძალიან დაღლილები ჩანდნენ, რამდენიმე მობურთალს სიარულიც კი უჭირდა. ბოლო ხუთ წუთში კი ბათუმელებმა მეტოქეს შტურმი მოუწყვეს. სტუმრებმა ორი შეტევის მოგერიება მოახერხეს, მაგრამ მეტს ველარ გაუძლეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ბევრს ლაპარაკობდნენ მსაჯის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. საუბარში რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძეც მონაწილეობდა. ბათუმში ჩასულმა უელსელმა სპეციალისტმა ჯეისონ ლუისმა კი მსაჯობის კომენტარისგან თავი შეიკავა — რაც იყო, თავადაც ნახეთო.

ამ მატჩზე კი მსაჯად დავით კილასონიას ელოდნენ.

**პაატა თოთაძე**

**სამი ერის პირველობა**




ოკლენდი. 24 ივლისი

**ახალი ზელანდია — ავსტრალია**

**34:15 (22:3)**



აუტისას ბურთის მოხელთებაში დათვები სხვებს ვერ სჯობნიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ზორდელებს აჯობეს

# უზინაოდ და უმერსედესოდ



REUTERS შტუტგარტიდან

მაგნუს ნორმანი „მერსედესში“ მოკალათდა

**შტუტგარტი. გერმანია. მერსედესის თასი. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **ტომი ჰაასი** (7, გერმანია) — კარლოს მოია (2, ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:5; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — მარსელო რიოსი (3, ჩილე) 6:2, 6:2; **ალექს კორეტხა** (5, ესპანეთი) — ვინსენტ სპედეა (13, აშშ) 1:6, 6:3, 6:2; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ნიკოლას ლაპენტი (10, ეკვადორი) 7:6 (7:5), 4:6, 6:2.

ნახევარფინალი: **ჰაასი** — კორეტხა 6:4, 6:4; **ნორმანი** — ნოვაკი 6:1, 6:2

ფინალი: **ნორმანი** — ჰაასი 6:7 (6:8), 4:6, 7:6 (9:7), 6:0, 6:3

ტომი ჰაასს იღბლიანს ვერაფრით უწოდებ. ამას წინათ ავსტრიაში მის ბინას ცეცხლი გაუჩნდა; უიმბლდონის შემდეგ სამი კვირის გატარება ფლორიდაში მოუხდა, სადაც მის საცხოვრებელს მეხი დაეცა და მთელი ელექტროგაყვანილობა და აპარატურა გაუნადგურა.

კვირას კი ტომის ბედმა საჩოგბურთო კორტზეც უმტყუნა და დაახლოებით 200 ათასი დოლარიც დააკარგვინა.

არადა, 21 წლის გერმანელისთვის შტუტგარტის პრესტიჟული ტურნირი შესანიშნავად მიმდინარეობდა. ზემოხსენებული მიზეზების გამო თითქმის სამი კვირის უვარჯიშებელმა მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ზედიზედ ორი თიხნარის ოსტატი, კარლოს მოია და ალექს კორეტხა დაამარცხა და კარიერაში პირველად უწია ფინალს ამ საფარზე.

„არ ვიცი, რაშია საქმე, მაგრამ წლეულს სტაბილურად კარგად ვთამაშობ. მე ოპტიმისტი ვარ — ჩემი მიზანი დიდი სლემის ტურნირის მოგებაა. ისე, ამ წარმატების მიუხედავად, თიხნარს მაინც უფრო სწრაფი საფარი, ხალიჩა ან ჰარდი მირჩევნია“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე წარმოშობით ავსტრიელმა ჰაასმა.

წლის დასაწყისში კლასიფიკაციაში 34-ე ადგილიდან ნიკ ბოლეტიერის აღსაზრდელმა 19 საფეხურით წაიწია წინ, პირველი ტიტული მიითვალა, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალშიც იასპარეზა, მაგრამ მისი წარმატების საიდუმლო მარტო გაზრდა-დაჭკვიანებაში არ მდგომარეობს.

საქმე ის არის, რომ მიხაელ შტიხისა და ბორის ბეკერის წასვლის შემდეგ საჩოგბურთო გერმანიას ახალი კერპი სჭირდება. თანამემამულეთა გულში პირველი ადგილის დაკავება საკუთარ ჯიბეში მილიონიანი კონტრაქტების გარანტიას იძლევა, ჰაასს კი ამაში დიდი კონკურენტი — ნიკოლას კიფერი ჰყავს.

დაახლოებით თანატოლ გერმანელებს შორის, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ქვეყნის პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, ერთის წარმატებას მეორე პასუხობს და ამასობაში თამაშს ორივე უმატებს.

სწორედ ეს იყო, მიზეზი, რომ შტუტგარტის ტურნირის ცენტრალური კორტის 5 500-ვე ბილეთი თვალის დახამხამებაში გაიყიდა, ტრიბუნები კი „ტომი, ტომის“-ს მყვირალა თინეიჯერი გოგონებით გაივსო.

თავისიანებს თავიდან ჰაასმა იმედი არ გაუცრუა და დაძაბულ ბრძოლაში შვედ მაგნუს ნორმანთან ორი სეტით დაწინაურდა. გამარჯვება და საყოველთაო-გერმანული ექსტაზი სულ ახლოს ჩანდა, ჰაასი 5:4-თა და 30:0-ით გავიდა წინ მესამე ხელში და მოგებას ორი ქულაღა უკლდა, როდესაც ნორმანმა თავისი საუკეთესო იარაღი — ფორჰენდი აამუშავა, ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა და ტაი-ბრეიკს მიატანა.

აქ ჰაასმა ოთხი სეტ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ მეხუთეზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და გამწარებულმა საკუთარ ჩოგანს წიხლები უთავაზა — ეს დასასრულის დასაწყისი იყო.

„პირველი ორი ხელი თანაბარ ბრძოლაში დავთმე, ასე რომ, ვიცოდი, ადრე თუ გვიან შანსი მეც მომეცემოდა. იმ ტაი-ბრეიკის შემდეგ ტომი ძალიან აღელდა,თან დაიღალა და საქმე გამიიოლა“ — აღნიშნა მოგვიანებით ნორმანმა, რომელმაც მომდევნო სეტი მშრალზე მოიგო, მთლიანად მატჩი კი სამ საათსა და 28 წუთში.

თუ ჰაასის მიერ კორტზე დაკარგული 200 ათასი ჩაგრჩათ გულში, ახსნა-განმარტება ასეთია: 23 წლის შვედს კარიერის მეოთხე ტიტულისთვის 157 ათასი დოლარი ერგო (გერმანელ კოლეგაზე დაახლოებით 80-ით მეტი), ტურნირის მთავარმა სპონსორმა კი ახალთახალი სპორტული მერსედეს SI 320-თაც დაასაჩუქრა (რომელიც 120 მწვანე ათასი ღირს).

ალბათ, აღარც ნორმანის ალტაცებული შეძახილი გაგაკვირვებთ მატჩის შემდეგ, ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეაო და აღარც ცხვირჩამოშვებული ჰაასის შემდეგი განცხადება:

„არც კი ვიცი, როგორ მოხდა, რომ წავაგე. ძალიან ძნელი იქნება იმის ყურება, ამ მანქანას ჩემს ნაცვლად ნორმანი რომ წაიყვანს... მაგრამ წყენას როგორმე დავივიწყებ — როგორც კი ჩემი „ფერარის“ საჭეს მივუჯდები“.

## ფედერაციის თასის ნახევარფინალი

### აშშ 4:1 იტალია

**ვინუს უილიამსი** (აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:2, 6:3; **სილვია ფარინა** (იტალია) — მონიკა სელეში (აშშ) 6:4, 4:6, 6:4

წყვილები: **ვინუს და სერენა უილიამსები** — ადრიანა სერა-ძანეტი და ტატიანა გარბინი 6:2, 6:2

**ვ. უილიამსი** — ფარინა 6:1, 6:1; **ს. უილიამსი** — გრანდე 6:1, 6:1

მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში დები უილიამსების დებიუტი შთამბეჭდავი და წარმატებული გამოდგა — სწორედ შავკანიანმა დებმა მოუტანეს ოთხივე ქულა თავიანთ გუნდს, თანაც ოთხ მოგებულ მატჩში მეტოქეებისთვის ერთი ხელიც კი არ დაუთმიათ.

იტალიურმა პრესამ მატჩი „წასაგებად განწირულად“ დიდი ხნით ადრე გამოაცხადა, სტუმრები ძლიერი შემადგელობის გამო „დრიმ თიმადაც“ მონათლა, მაგრამ ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ ანგარიში საყაიმო, 1:1 იყო — თავისი მეორე სამშობლო მონიკა სელეშმა დაალალატა.

ყოფილმა იუგოსლავიელმა მეტოქეთა ჯილას, სილვია ფარინას ვერაფერი დააკლო, მაგრამ საპატიო მიზეზით: „ერთბაშად ექვსი კოჟრი ერთ ხელზე არასოდეს მქონია. ისინი მოწოდებაშიც მიშლიდნენ ხელს და უბრალო დარტყმებშიც. თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი, ხვალ როგორ ვითამაშებ“.

მაგრამ ამერიკელთა კაპიტანმა, ლეგენდარულმა ბილი ჯინ კინგმა აღარ გარისკა და სელეშის ადგილი კვირას სერენა უილიამსს მიანდო, რომელსაც ერთეულებში როლან გაროსის შემდეგ არ ეასპარეზა.

კვირის ყველაზე დიდი ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, ჭექა-ქუხილი ოდესმე თუ გადაიღებდა და გალუმპულ კორტებზე თამაში ორშაბათამდე თუ გადაიდებოდა, თორემ სამსაათიანი დაგვიანებით განახლებულ მატჩში დამხვდურებს არანაირი შანსი აღარ მისცემიათ.

ჯერ უფროსმა უილიამსმა 51 წუთში ფარინა გაანადგურა (აქედან 8 წუთი იტალიელები მსაჯს ედავებოდნენ), მერე კი მისმა უმცროსმა დაიკომ იგივე ანგარიშით — 6:1, 6:1, ოღონდ ერთი წუთით ნაკლებში — გრანდე.

„ძალიან მსურდა, რომ ნაკრებში დებიუტი წარმატებული ყოფილიყო და ორმაგად მოვინდომე“ — თქვა ვინუსმა. „თავს არანორმალურად კარგად ვგრძნობდი“ — დაუმატა სერენამ. „ამათი იმედით თავი ქუდში მქონდა და სელეშის ტრავმასაც არ გავუნერვიულებივარ“ — განაცხადა ბილი ჯინ კინგმა.

### რუსეთი 3:2 სლოვაკეთი

**ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:7 (5:7), 6:3; **კარინა ჰაბსუდოვა** (სლოვაკეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:1

წყვილები: **ჩერვანოვა და დანიელა ჰანტუჩოვა** — ელენა მაკაროვა და ელენა დემენტიევა 7:5, 7:6 (7:5)

**ლიხოვცევა** — ჰაბსუდოვა 3:6, 6:4, 6:2; **პანოვა** — ჩერვანოვა 6:4, 6:4

ტრიბუნებზე ათასზე ნაკლები თანამემამულისა და ოფიციოზისგან მხოლოდ მოსკოვის მერის — იური ლუჟკოვის მხარდაჭერის მიუხედავად, რუსმა დიაცებმა სლოვაკ კოლეგებს წირვა გამოუყვანეს და ისტორიაში პირველად უწიეს ფედერაციის თასის ფინალს (თუ სსრ-ს არ ჩავთვლით, თორემ ბელარუსი ნატაშა ზვერევასა და ჩვენებური ლეილა მესხის ხარჯზე ექსსაბჭოეთი ორგზის ფინალისტი იყო).

*გადამწყვეტ შეხვედრაში აშშ რუსეთს 18-19 სექტემბერს ჯერაც დაუდგენელი კორტზე უმასპინძლებს.*

**ამსტერდამი, ჰოლანდია ფედერაციის თასის შესარჩევი ტურნირი**

### ფინალი

### ავსტრალია 2:0 ჰოლანდია

ელენა დოკიჩი — კრისტი ბუგერტი 6:2, 7:5; ნიკოლ პრატი — მარიამ ორემანსი 6:4, 3:6, 10:8 (ავსტრალია გაისად I ჯგუფში იასპარეზებს)

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ანკორიჯიდან

დები უილიამსები: შენც მაგარი, მეც მაგარი...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში რუსი დმიტრი საუტინი პირველობდა



REUTERS სტამბოლიდან

იტალიელი მაურიცია ჩეკონი სინქრონულად მოცურავე ბრინჯაოსმედალოსან თანაგუნდელებს ჯოვანა ბურლანდასა (მარცხნივ) და ალესია ლუკინის ჩაეკონა

# რუსებმა აიწყვიტეს

**მედლების** 9 კომპლექტი გათამაშდა უკვე სტამბოლში მიმდინარე სპორტის საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატზე და რვა ოქროს რუსები დაეპატრონნენ. მათი ფავორიტობა ეჭვს არც ჩემპიონატამდე იწვევდა, მაგრამ რუსებმა მაინც ყველა გააკვირვეს. საკუთარ თავს დიდ სპორტში მშვენიერი დაბრუნება მოუწყო წყალში მხტომელმა ვერა ილინამ, რომელმაც მიმდინარე სეზონში ქომაგებს მხოლოდ მხრის სახსრის ორი ოპერაციით შეახსენა თავი. სტამბოლში ილინა არცთუ საუკეთესო ფორმაში იყო, მაგრამ პირველ რიგში საკუთარ თავთან გამართული ბრძოლა მოიგო, რაც ოქროს მოსაპოვებლადაც საკმარისი გამოდგა. აი, მეორე ადგილზე გასულ რუსს, ირინა ლაშკოს კი ვერცხლის მედალი თითქოს ციდან მამაზეციერმა ჩამოუგდო. წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ იგი მხოლოდ მეათე იყო. ხუთ ფინალურ ხტომაში თითქმის ყველა ლიდერი უხეშად შეცდა, რაც, წინა დღისა არ იყოს, აუზის ზედაპირზე ღონივრად მოსისინე ქარით უნდა აიხსნას. ლაშკომ ამით გონივრულად ისარგებლა, ნახტომიდან ნახტომამდე ნელ-ნელა ზევით „აცოცდა“ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვერცხლის მედალიც დაუმსახურებია. მხოლოდ მესამე იყო გერმანელი კონი შმალფუსი, ვინც თავიდან კარგახანს დამაჯერებლად ლიდერობდა.

ორი საუკეთესო ადგილი ერგოთ რუსებს 25 კმ-ზე მარათონულ ცურვაშიც, რომლებიც ალექსეი აკატიევმა და ანტონ სანჩევმა დაისაკუთრეს, მესამე კი აქაც გერმანელი გახლდათ — ანდრე ვილდე. ცოტა დრამატულად წარიმართა იმავე დისტანციაზე ქალბატონების ჭიდილი. ფავორიტად გერმანელ პეგი ბუშეს მიიჩნევდნენ, რომელიც აქამდე ერთადერთი არარუსი გახლდათ, სტამბოლში ოქრო რომ რგებოდა, ოღონდ 5-კილომეტრიან დისტანციაზე. პეგი თავიდან ახლაც დაწინაურდა, მაგრამ, ეტყობა, ის ვერ გათვალა, რომ 25 კილომეტრს ბევრი ფეხით ვერ დარბის და ასეთი ტემპით ბოლომდე აშკარად ვერ გაძლებდა. მართლაც, გერმანელმა 15 კილომეტრი ყოჩაღად გაცურა, შემდეგ კი ქოშინი აუვარდა და ლიდერობას ვინ ჩივის, ფინიშამდე ძლივს „მილასლასდა“ და ცხადია, პრიზიორებს შორისაც ვერ მოხვდა. პირველი ადგილი აქაც რუსის არჩივი გახდა, სამაგიეროდ, ოლგა გუსევას შემდეგ ორივე საპრიზო ადგილი გერმანელებს ერგოთ — ანჟელა მურერსა და ბიტტა კამრაუს.

მამაკაცები 24 ივლისს ათმეტრიანი კოშკიდან ხტებოდნენ და, როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვა? რა თქმა უნდა, რუსმა დმიტრი საუტინმა, ოღონდ მეორე-მესამე ადგილები ამჯერად სხვებს დარჩათ. მეორეზე გერმანელი ჰეიკო მაინერი გავიდა, მესამეზე — უკრაინელი რომან ვოლოდკოვი.

ბოლოს სინქრონულ ცურვაზეც ვთქვათ, რომელშიც ისევ და ისევ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა გაიბრწყინეს. დუეტებში ოლგა ბრუსნიკოვამ და მარია კისელიოვამ ფრანგებს თითქმის ორი ბალით აჯობეს, რაც სინქრონულ ცურვაში მეტად სოლიდურ სხვაობად ითვლება. მესამენი იტალიელები იყვნენ. სხვათა შორის, საპრიზო ადგილები ჯგუფური შეჯიბრშიც მსაგვსი მიმდევრობით განაწილდა.

**დავით გულუა**

# ჰკითხეთ სამი წლის ქვრივს




ეს ავარია იყო, მაკლარენის მეორე პილოტმა დევიდ კულჰარდმა ამ გუნდისა და ჩემპიონატის ლიდერი მიკა ჰაკინენი ტრასიდან რომ მოისროლა

ᲘᲠᲕᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ დიდი სიმპათიებით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ კაცი რომ დიდ პრიზს მოიგებს, მას თავისი უნდა მიუზღო, თუნდაც როგორც გამარჯვებულს, რადგან ესეც სავსებით საკმარისია.

თითქმის ორსაათიანი საშინელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვების შემდეგ, ამ შუა ზაფხულში ბოლიდის სარკოფაგში ჩაჭედილ — ჩათბუნებული სალ-სალამათი რომ მოდიხარ 300 კილომეტრიანი დისტანციის ფინიშზე, ისიც დიდი ვაჟკაცობაა და თუ პირველი ხარ, სასიკეთო სიტყვა როგორ არ უნდა დაგცდეს კაცს, როგორ ვერ უნდა დაინახო ის, რის ხარჯზე, რა მანქანებით მოახერხა ამ ადამინმა ყველასთვის ეჯობნა, ყველა ოცდაერთივე მეტოქისთვის...

ირვინის ქომაგებთან წინასწარვე ვიხდი ბოდიშს, ამ, კარიერაში მეორე დიდი პრიზის მოგებასაც გულით ვულოცავ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ ალბათ, პირველად ჩემს ჟურნალისტურ კარიერაში შესაძლოა ამოუხსნელი დამრჩეს ავსტრიის დიდი პრიზის გამარჯვების მიზეზები, ანდა როგორც ამბობენ ხოლმე — საიდუმლო.

არადა ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. შაბათის კვალიფიკაციაზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჰაკინენმა საუკეთესო დრო აჩვენა და წლევანდელ სეზონში მეშვიდედ (!) მოიგო პოული. არც კულჰარდის მეორე ადგილი იყო საოცარი, ირვინიც, ასე ვთქვათ, თავის კუთვნილ ადგილზე დაჯდა. იმის გათვალისწინებით, რომ მიკა სალოს იმ დღეს ფაქტობრივად დებიუტი ჰქონდა „ფერარიში", მეშვიდე შედეგი და მეოთხე რიგი წარუმატებლად ვერ ჩაეთვლება. მოკლედ, ყველაფერი მართლა თავისი რიგით მიდიოდა. კანონზომიერი იყო ისიც, რომ კვირას რბოლის სტარტზე „მაკლარენმა" (ჰაკინენი — კულჰარდი) პირველ-მეორე ადგილი შეინარჩუნეს და სათავეში მოექცნენ პელოტონს. აი, ამის შემდეგ დაიწყო რაც დაიწყო.

კულჰარდი, ეტყობა წინა დიდი პრიზის მოგებით გაყოყოჩებული, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, სხვა რომ არავინ ჰყავდა, თავისივე პარტნიორს ჰაკინენს ეკვეთა. მოსახვევი მაინცდამაინც რთული არ იყო. სამაგიეროდ კულჰარდის შეტევა იყო მეტისმეტად აგრესიული და სპორტული თვალსაზრისით არაკორექტულიც. ცხადია ჰაკინენს შეეძლო და სრული უფლებაც ჰქონდა არ დაეთმო, მაგრამ ჯიუტი თხებივით წყალში გადავარდნას მაინც გაცლა აჯობინა. მანქანები კი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ ტრასის მიღმა აღმოჩნდა. იქამდე იდგა ხრეშზე მსოფლიოს ჩემპიონი, სანამ ცხვირწინ მთელმა პელოტონმა არ ჩაუქროლა. მხოლოდ მერეღა მოახერხა წრეზე დაბრუნება. ამ დროისთვის მიკა მეოცე იყო და 32 წამს აგებდა ლიდერთან — დევიდ კულჰარდთან.

„მაკლარენის" ხელით მაკლარენისვე დაჩეხვის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: კულჰარდი, ბარიკელო, ირვინი.

ფრენცენი და ალეზი ოდნავ მოშორებით მიჰყვებიან ლიდერებს. ჰაკინენისთვის, თუ არ ჩავთვლით მასა და ლიდერს შორის განლაგებულ დაბრკოლებას, ყველაფერი კარგად დასრულდა — ძვლებიც მთელი შერჩა და ბოლიდიც. ახლა ძალიან „ცოტაღა" იყო გასაკეთებელი და მიკაც შეუდგა საქმიანობას — ყოველ ორ წრეზე თითო კონკურენტის ჩამოცილებას. 20 წრის შემდეგ ჰაკინენი უკვე ექვსეულშია, 30-ე წრეზე მეოთხეა,მერე ბრწყინვალე სტილში ასწრებს ფრენცენს, ამასობაში ბარიკელო საწვავის შესავსებად და საბურავების გამოსაცვლელად შედის პიტლეინზე და ფინელი მრბოლი მართლაცდა ფანტასტიკური ძალისხმევის შემდეგ სამეულშია. მეოცედან — მესამეზე!

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიდერთა თავდაპირველი სამეული მანქანისა და პილოტის შესაძლებლობების შესაბამისად შორდებოდა ერთმანეთს. კულჰარდსა და ბარიკელოს შორის სხვაობამ 12 წამს მიაღწია, ბარიკელოსა და ირვინს შორის — 4 წამს.

35-ე და მე-40 წრეებს შორის ლიდერებმა შეივსეს საწვავი და როცა წრეზე ახალი საბურავებითა და სავსე ავზებით დაბრუნდნენ აღმოჩნდა, რომ რბოლის ლიდერია ირვინი, კულჰარდი მეორეა, ჰაკინენი კი მესამე. საოცარია, მაგრამ ფაქტია: მას შემდეგ, რაც ჩვიდმეტი შეტევიდან ჩვიდმეტივე წარმატებით განახორციელა, მას შემდეგ, რაც ჩვიდმეტჯერ გარისკა და ჩვიდმეტჯერ დაუძვრა ხიფათს თავისივე ოსტატობის წყალობით, ყველაფერ ამის შემდეგ მეორმეოცე წრეზე ჰაკინენი თავდაპირველი 32 წამის ნაცვლად მხოლოდ 26 წამსღა აგებდა ლიდერთან. მერე ეს 26 თექვსმეტამდეც ჩამოიყვანა, მაგრამ შეუძლებელის გაკეთება, ბუნებრივია, ვეღარ შეძლო. როგორც ჩანს როქსერიდანაც ურჩიეს თუ უბრძანეს მესამე ადგილს დაჯაბულებულიყო.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გასაგებია კულჰარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატის ლიდერს, თავისავე პარტნიორს დააჭრა მყესები — ნებსით თუ უნებლიედ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს — მერე კი ის თორმეტწამიანი უპირატესობაც ისე უტვინოდ გაფანტა, თვითონაც ვერ მიხვდა. ახლა „ფერარის" უკან ოთხწამიანი სხვაობით მიმავალს დარწმუნებული ვარ, ერთობ მუქ ფერებში ესახებოდა მომავალი — საუკეთესო შემთხვევაში სეზონის ბოლოს „მაკლარენთან" გამომშვიდობება. შოტლანდიელმა, ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი ილონა, დაეწია კიდეც ირვინს, მაგრამ ამასობაში წრეების ლიმიტიც ამოიწურა...

ახლა კი ისევ იმაზე, რითაც დავიწყეთ. ნათქვამია, იღბალი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო. ვფიქრობ,ეს არის ავსტრიის დიდ პრიზში ირვინის გამარჯვების ერთი მიზეზი, მეორე კი უფრო პროზაულია.

სამი წელიწადია, ირვინი, რა თქმა უნდა სხვებთან შედარებით, მშვიდად დასეირნობს ტრასებზე. მას არც ჩემპიონობას სთხოვს ვინმე, არც რომელიმე დიდი პრიზის მოგებას, არც — პოდიუმს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ერთადერთი მოვალეობა შუმახერის დახმარება იყო. შეიძლება იყო კიდეც ერთი-ორი რბოლა, რომლებშიც ირვინმა რაღაც სამსახური ნამდვილად გაუწია შუმახერს, მაგრამ მეტწილ, უფრო ზუსტად, თითქმის ყველა რბოლაში ირლანდიელი საკუთარი სიამოვნებისთვის დააგორებდა წითელ ბოლიდს, ვარჯიშობდა, სწავლობდა. ირვინს ხელუხლებელი შერჩა ის ენერგია, რაც ასე უხვად იხარჯება სერიოზული შეჯიბრების დროს. კვლავ ვიმეორებ, სხვებთან შედარებით, თორმ საათში 300 კილომეტრით მიმავალ მანქანაში მშვიდად რომ ვერ იჯდები, ბავშვისთვისაც გასაგებია.

მოკლედ, ამდენი მელანი იმიტომ დავხარჯე, რომ მეთქვა: ედი ირვინი დანატრებულია ნამდვილ ბრძოლას. ეს კი დიდი უპირატესობაა. თუ არ გჯერათ, მაშინ მითხარით, რა განსხვავებაა ქმრიან ქალსა და სამი წლის ქვრივს შორის. ჰოდა, ეს მეორე მიზეზიც [illegible]

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## რბოლის შედეგები

### ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

25 ივლისი. შპილბერგი

დისტანცია — 71 წრე — 306.649 კმ

1. *ირვინი* (ფერარი) 1:28.12,438 (208,587 კმ/სთ) 10 ქულა
2. *კულჰარდი* (მაკლარენი) ჩამორჩა 0,313 წმ 6 ქულა
3. *ჰაკინენი* (მაკლარენი) 22,282 4 ქულა
4. *ფრენცენი* (ჯორდანი) 52,803 3 ქულა
5. *ვურცი* (ბენეტონი) 1.06,358 2 ქულა
6. *დინიცი* (ზაუბერი) 1.10,933 1 ქულა
7. *ტრული* (პროსტი) 1 წრით
8. *ჰილი* (ჯორდანი) 1 წრით
9. *სალო* (ფერარი) 1 წრით
10. *პანი* (პროსტი) 1 წრით
11. *ჟენე* (მინარდი) 1 წრით
12. *ფიზიკელა* (ბენეტონი) 3 წრით
13. *ბადოერი* (მინარდი) 3 წრით
14. *ჰერბერტი* (სტიუარტი) 4 წრით
15. *ზონტა* (BAR) 8 წრით

**საუკეთესო წრე**

*ჰაკინენი* (1.12,107)

**ლიდერები**

1-39 წრე *კულჰარდი*

40-71 *ირვინი*

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| *ბარიკელო* (სტიუარტი) გაიარა | 55 წრე |
| *ალეზი* (ზაუბერი) | 49 |
| *დე ლა როსა* (ეროუსი) | 38 |
| *ძანარდი* (უილიამსი) | 35 |
| *ვილნევი* (BAR) | 34 |
| *ტაკაჯი* (ეროუსი) | 25 |
| *რ. შუმახერი* (უილიამსი) | 8 |

## ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

21. ჟენე 1:14,363 მინარდი
14. დე ლა როსა 1:14,139 ეროუსი
15. ტაკაჯი 1:13,641 ეროუსი
20. ბადოერი 1:13,606 მინარდი
18. პანი 1:13,457 პროსტი
11. ალეზი 1:13,226 ზაუბერი
12. დინიცი 1:13,223 ზაუბერი
23. ზონტა 1:13,172 BAR
5. ძანარდი 1:13,101 უილიამსი
19. ტრული 1:12,999 პროსტი
9. ფიზიკელა 1:12,924 ბენეტონი
7. ჰილი 1:12,901 ჯორდანი
10. ვურცი 1:12,850 ბენეტონი
22. ვილნევი 1:12,833 BAR
6. რ. შუმახერი 1:12,515 უილიამსი
3. სალო 1:12,514 ფერარი
17. ჰერბერტი 1:12,488 სტიუარტი
16. ბარიკელო 1:12,342 სტიუარტი
8. ფრენცენი 1:12,266 ჯორდანი
4. ირვინი 1:11,973 ფერარი
2. კულჰარდი 1:11,153 მაკლარენი
1. ჰაკინენი 1:10,954 მაკლარენი

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ᲰᲐᲙᲘᲜᲔᲜᲘ** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | | | | | | | | 44 |
| 2 | **ᲘᲠᲕᲘᲜᲘ** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | | | | | | | | 42 |
| 3 | **Მ.ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ** (გერმანია) ფერარი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | | | | | | | | 32 |
| 4 | **ᲤᲠᲔᲜᲪᲔᲜᲘ** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | | | | | | | | 29 |
| 5 | **ᲙᲣᲚᲰᲐᲠᲓᲘ** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | | | | | | | | 28 |
| 6 | **Რ.ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | | | | | | | | 19 |
| 7 | **ᲤᲘᲖᲘᲙᲔᲚᲐ** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | | | | | | | | 13 |
| 8 | **ᲑᲐᲠᲘᲙᲔᲚᲝ** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | | | | | | | | 10 |
| 9 | **ᲰᲘᲚᲘ** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | 2 | – | | | | | | | | 5 |
| 10 | **ᲓᲘᲜᲘᲪᲘ** (ბრაზილია) ზაუბერი | – | – | – | – | – | 1 | – | 1 | 1 | | | | | | | | 3 |
| 10 | **ᲕᲣᲠᲪᲘ** (ავსტრია) ბენეტონი | – | – | – | 1 | – | – | – | – | 2 | | | | | | | | 3 |
| | *ჰერბერტი (სტიუარტი) — 2 ქულა; პანი (პროსტი), დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი) და ტრული (პროსტი) — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ᲤᲔᲠᲐᲠᲘ | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | | | | | | | | 74 |
| 2 | ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜ ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘ | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | | | | | | | | 72 |
| 3 | ᲯᲝᲠᲓᲐᲜ-ᲛᲣᲒᲔᲜ-ᲰᲝᲜᲓᲐ | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | | | | | | | | 34 |
| 4 | ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲔᲙᲘ | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | | | | | | | | 19 |
| 5 | ᲑᲔᲜᲔᲢᲝᲜᲘ | 3 | – | 2 | 3 | – | 6 | – | – | 2 | | | | | | | | 16 |
| | *სტიუარტი — 12; ზაუბერი — 4; პროსტი — 2; ეროუსი — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |

# მარადიული დღესასწაული ამერიკელისთვის



REUTERS პარიზიდან

„ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი ლანს არმსტრონგი (№181) „საპატიო ესკორტით“ შევიდა პარიზში

შაბათს „ტურ დე ფრანსზე“ მესამე ინდივიდუალური რბოლა გაიმართა. ფუტუროსკოპში, ისევე როგორც წინა ორ ანალოგიურ ეტაპზე, ყველას ამერიკელმა ლანს არმსტრონგმა აჯობა. მისი საშუალო სიჩქარე 50 კმ/სთ-ზე მეტი იყო. 57 კილომეტრიან გზაზე მეტოქეთაგან მხოლოდ შვეიცარიელმა ალექს ცულემ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა ყვითელი მაისურის მფლობელს. ეტაპი არმსტრონგმა გაცილებით უკეთ დაიწყო და პუატუს დაბლობზე, სადაც ქარი უფრო ძლიერად უბერავდა, ვიდრე დისტანციის დარჩენილ ნაწილზე მან შვეიცარიელი 13,5 კილომეტრის შემდეგ უკვე 16 წამით ჩამოიტოვა.

ამ დროისთვის ესპანელ აბრაამ ოლანოსაც ჰქონდა შანსი, თავისი წარუმატებელი გამოსვლა „ტურზე“ ოდნავ მაინც შეელამაზებინა. ინდივიდუალური რბოლის მსოფლიოს ჩემპიონი იგივე ტემპით მიდიოდა, როგორც ცულე, კასერო და ვერბრიუგე და საკმაოდ უსწრებდა ამერიკელ ჰამილტონს, რომელმაც რბოლა ძალიან წყნარად დაიწყო. თუმცა ოლანოს ბოლომდე ძალები აღარ ეყო და საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

პირველ-მეორე ადგილებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, პელოტონის ორი უძლიერესი წევრი გავიდა. „არმსტრონგის დამარცხება შეუძლებელი იყო“ — თქვა ცულემ, ვინც კარიერაში მეორედ დაამთავრა „ტურ დე ფრანსი“ მეორე ადგილზე. 1995 წელს მას მხოლოდ დიდმა მიგელ ინდურაინმა აჯობა. „მეფე მიგელის“ აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ კი ესპანურ „ბანესტოში“ მისი ადგილი სწორედ ცულემ დაიკავა, ოღონდ ჯერჯერობით იგივე წარმატებას ვერ მიაღწია.

მეოცე ეტაპის გამარჯვებული ერთმანეთში სპრინტერებმა გაარკვიეს. ავსტრალიელმა რობი მაკივენმა გერმანელ ერიკ ზაბელს „ტურის“ ეტაპის მოგებით დატკბობის საშუალება კიდევ ერთი წლით გადაუვადა. ტელეკომელებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს თავიანთი ლიდერისთვის, მაგრამ შანზ-ელიზეზე მდებარე ფინიშის ხაზზე ზაბელს მეტოქემ იოლად გადაასწრო. გერმანელს თავის დამშვიდება მწვანე მაისურითღა (ქულებით პირველადგილოსანს ხვდება) მოუწია.

ეტაპი ძალიან მშვიდად დაიწყო და პარიზამდე ფაქტობრივად იერიშის განხორციელება არავის უცდია. პელოტონმა სიჩქარე პარიზს მიახლოებისთანავე გაზარდა. 6,5 კილომეტრიანი წრე პარიზის ქუჩებში ველომრბოლებს 10-ჯერ უნდა გაევლოთ და სწორედ ამ დროს მიიტანა ზოგიერთმა იერიში. განსაკუთრებით ფრანგები აქტიურობდნენ. ლორან დებიენმა და ანტონი მორენმა ცოტა ხნით ლიდერობაც მოახერხეს, მაგრამ მათ ბოლო 15 კილომეტრზე დაეწივნენ. ამის მერე სპრინტერთა თანაგუნდელები პელოტონის სათავეში მოექცნენ და წინ გაჭრის საშუალება აღარავის მისცეს. სპრინტში მაკივენი ზაბელის აჩქარებას დაელოდა და შემდეგ იოლადაც გაუსწორდა ბერლინელს. „ტურში“ თავისი მესამე მონაწილეობისას მან ჰოლანდიურ „რაბობანკს“ ერთადერთი გამარჯვება მოუტანა და პრესტიჟიც გადაურჩინა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| მეცხრამეტე ეტაპი<br>ფუტუროსკოპი, ინდივიდუალური რბოლა, 57 კმ |
|---|
| 1 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 1 სთ 08 წთ 17 წმ |
| 2 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) +9წმ |
| 3 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, პოსტალი) +1 წთ 35 წმ |
| 4 ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) +1 წთ 37 წმ |
| 5 რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) +2 წთ 03 წმ |
| 6 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +2 წთ 18 წმ |
| 7 ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) +2 წთ 23 წმ |
| 8 ალვარო გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) +2 წთ 28 წმ |
| 9 იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) +2 წთ 45 წმ |
| 10 სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) +2 წთ 47 წმ |

| მეოცე ეტაპი<br>არპაჟონი — პარიზი 143,5 კმ |
|---|
| 1 რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობანკი) 3 სთ 37 წთ 39 წმ |
| 2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) |
| 3 სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი) |
| 4 სტიუარტ ოგრედი |
| 5 კარლოს და კრუზი (საფრანგეთი, ბიგმატი) |
| 6 ლარს მიკაელსენი (დანია, ფრანსეზ დე ჟო) |
| 7 სალვატორე კომესო (იტალია, საეკო) |
| 8 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) |
| 9 სტეფან ვესემანი (გერმანია, ტელეკომი) |
| 10 ჯანპაოლო მონდინი (იტალია, კანტინა ტოლო) ყველას იგივე დრო |

| საბოლოო საერთო ჩათვლა |
|---|
| 1 ლანს არმსტრონგი 91 სთ 32 წთ 16 წმ |
| 2 ალექს ცულე +7 წთ 37 წმ |
| 3 ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) +10 წთ 26 წმ |
| 4 ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) %14 წთ 43 წმ |
| 5 ანხელ კასერო +15 წთ 11 წმ |
| 6 აბრაამ ოლანო +16 წთ 47 წმ |
| 7 დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) +17 წთ 02 წმ |
| 8 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) +17 წთ 28 წმ |
| 9 ვლადიმირ ბელი +17 წთ 37 წმ |
| 10 ანდრეა პერონი (იტალია, ონსე) +23 წთ 10 წმ |

| „ტურ დე ფრანსის“ ყველა ტიტული |
|---|
| საერთო ჩათვლა (ყვითელი მაისურა) |
| ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) |
| „მთის მეფე“ (წითელკოპლებიანი თეთრი მაისურა) |
| რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) |
| ქულები (მწვანე მაისურა) |
| ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) |
| ახალგაზრდები |
| ბენუა სალმონი (საფრანგეთი, კაზინო) |
| გუნდური ჩათვლა |
| „ბანესტო“ (ესპანეთი) |




## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



**არპაჟონი** „ლობიოს ბაზრობითა“ და ყვავილების დღესასწაულითაა საფრანგეთში ცნობილი. „ტურ დე ფრანსმა“ აქ პირველად გაიარა. ტურის ქარავანს შეეძლო, მდინარე ორჟის ულამაზესი ნაპირების ხილვით დამტკბარიყო. XVII საუკუნეში აშენებული „ლე ალი“ (დახურული ბაზრობა) საფრანგეთის სხვა ქალაქების ანალოგიური შენობებიდან ბევრს სჯობს.



**პარიზი**, ამ ქალაქზე ორიოდ სიტყვით ვერაფერს იტყვი. ჰემინგუეისგან „დედამიწის ჭიპად“ მონათლული პარიზი მსოფლიოს ქალაქებიდან ერთ-ერთი ულამაზესია. „ტურის“ ფინიში მის მთავარ ავენიუზე „შანზ-ელიზეზე“ მოეწყო. 71 მეტრის სიგანის ავენიუ, რომელიც ტრიუმფულ თაღსა და კონკორდის მოედანს შორისაა, მსოფლიოში უმშვენიერესადაა მიჩნეული. სწორედ აქაა ეგრეთ წოდებული „ოქროს სამკუთხედი“. რაიონი, სადაც უძრავი ქონების ფასები პარიზის სხვა რაიონებთან შედარებითაც კი ფანტასტიკურად მაღალია. „ტურის“ ფინიში „შანზ-ელიზეზე“ 1975 წლის შემდეგ ტრადიციული გახდა.

## ტურის ლეგენდები

### 1995 წელი

### გამარჯვებული მიგელ ინდურაინი




**1995 წელს** ესპანელი მიგელ ინდურაინის გამარჯვება განსაკუთრებულად გამოსარჩევი მოვლენა იყო „ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში. ტურნირის არსებობის მანძილზე პირველად მოხდა, რომ იგი ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ერთმა და იმავე მრბოლმა. ხუთგზის ჩემპიონები მანამდეც იყვნენ (ანკეტილი, მერქსი, ინო), მაგრამ მიყოლებით ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ „მეფე მიგელი“ სჯობდა ყველას.

თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის გზებზე უძლიერესი სპორტსმენების მინიმუმ ექვსი თაობა ენაცვლებოდა ერთმანეთს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდნენ. მათი ტალანტით, გაბედულებით და სხვა თვისებებით მაყურებელი აღტაცებაში მოდიოდა და ველოსპორტის გიგანტებიც წარუშლელ კვალს ტოვებდნენ თაყვანისმცემლების მეხსიერებაში, მაგრამ ზედიზედ ხუთგზის ჩემპიონობა ვერავინ მოახერხა.

რბოლის პირობები 1903 წლის 1 ივლისის შემდეგ, როცა პირველმა „ტურ დე ფრანსმა“ აიღო სტარტი მონჟერონში და სამოცი „თავზეხელაღებული“ გაუყვა საფრანგეთის გზებს, საკმაოდ შეიცვალა. თუმცა „ტურის“ მოგება კვლავინდებურად მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგადაა შესაძლებელი. ძალების ნაკლებობას კი ინდურაინი არ უჩიოდა.

ეს უნიჭიერესი მრბოლი, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთარ თავს ებრძოდა. ყოველწლიურად მისი მეტოქეებიდან რომელიმეს მაინც შეეძლო მისი გადასწრება, რადგან სამხრეთული ფეთქებადი ხასიათი მიგელს დიდი უპირატესობით მოგებაში ხელს უშლიდა. მას ის კი არ სურდა, ვინმეზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა, უბრალოდ, თავისი თავისთვის სურდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ თვითონ იყო უძლიერესი. ამის გამო ინდურაინი ხშირად გამხდარა ჟურნალისტთა კრიტიკის საგანი. მას აბრალებდნენ, რომ თავის შესაძლებლობებს სრულად არ იყენებსო, თუმცა ხანდახან „მეფე მიგელი“ იმისთანა რამეს ჩაიდენდა, რომ ეჭვის თვალით მზირალთ ლაპარაკის ხალისიც კი ეკარგებოდათ.

1995 წელს ერთ-ერთ ეტაპზე იგი მხოლოდ იოჰან ბრუინელის თანხლებით გაექცა დანარჩენებს და 60 კილომეტრზე მეტი სწორ გზაზე პელოტონს მოწყვეტილმა იქროლა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ჯგუფი ძალებს არ ზოგავდა ინდურაინის და მისი კომპანიონის დასაწევად, მათ მაინც შეძლეს, სხვებზე ადრე დაემთავრებინათ რბოლა. და როცა ესპანელს ჰკითხეს, ღირდა თუ არა ამდენი ძალის დახარჯვა მხოლოდ ერთი წუთის მოსაგებადო, მან უპასუხა, მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ უძლიერესი ვარო. ასეთი შეტევები კიდევ უამრავი განუხორციელებია დიდ მიგელ ინდურაინს და მრავალი მათგანი წარმატებულიც გამომდგარა. ამიტომაც დაიმკვიდრა მან „ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი.

**გაგი გურული**

## ლანს არმსტრონგი



REUTERS პარიზიდან

*დაიბადა 1971 წლის 18 სექტემბერს აშშ-ში, ტეხასის შტატის ქალაქ დალასში*

სიმაღლე 178 სმ, წონა 71 კგ.

გუნდები: „მოტოროლა“ (1992-1996), „კოფიდისი“ (1997), „პოსტალი“ (1998)

**ამერიკელი** ველომრბოლი კარიერის მანძილზე პირველად აღზევდა ასე მაღლა სამი მთავარი ველოტურნირის („ჯირო“, „ტური“, „ვუელტა“) საბოლოო ჩათვლაში. გასულ წელს მან ესპანეთში, „ვუელტაზე“ მეოთხე ადგილი დაიკავა. ამერიკელი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონია. მან ეს ტიტული 1993 წელს მოიპოვა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში. 1992 წლის აგვისტოში, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გაპროფესიონალებული მრბოლის აქტივში 40 გამარჯვებაა.

### მთავარი გამარჯვებები

ერთდღიანი ტურნირები

მსოფლიოს ჩემპიონატი — 1993 (ოსლო)

აშშ-ის ჩემპიონატი — 1993

„სან-სებასტიანის კლასიკა“ — 1995

„ვალონიის ისარი“ — 1996

მრავალდღიანი ტურნირები

„ტურ დე ფრანსი“ — 1999

„ლუქსემბურგის ტური“ — 1998

„დიუპონის ტური“ — 1995 და 1996

„ტურ დე ფრანსში“ ხუთჯერ მონაწილეობდა. მოუგია 6 ეტაპი: 1993 — ვერდენი, 1995 — ლიმოჟი, წლეულს — პიუ-დიუ-ფუ (პროლოგი), მეცი (ინდივიდუალური რბოლა), სესტრიერი, ფუტუროსკოპი (ინდივიდუალური რბოლა). 1993, 1994 და 1996 წლებში შეჯიბრს ნაადრევად გამოეთიშა. 1995 წელს საბოლოო ჩათვლაში 36-ე ადგილზე გავიდა, წლეულს კი ჩემპიონი გახდა.

*ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ბოლო რეიტინგით მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-12 ადგილზეა.*



REUTERS კარაკასიდან

# პელე კარაკასში

რა ენაღვლება ასეთ კაცს? ყველგან სიხარულითა და სიყვარულით ხვდებიან, გზებზე სუფრებს გადაუფენენ და პატივსაც მიაგებენ. ორმოცდათვრამეტი წლის პელე ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩასულა და იქაურ ხალხს მისალმებია. ამ პარტახი ქვეყნის დედაქალაქში თოთხმეტი წლის ბიჭების საერთაშორისო შეჯიბრი მიმდინარეობს და ფეხბურთის მეფე მის მხარდასაჭერად ჩასულა კარაკასში.

პელე დაუნანებლად დააბიჯებს მზით დამწვარ მინდვრებზე და ნორჩ ფეხბურთელებს ფანდებსა და რამე-რუმეებს ასწავლის. სწორედ გუშინ ამერიკული გუნდის „დალას ტექსანზის" ყმაწვილებს შეხვედრია.






REUTERS კუპერსტაუნიდან

# კანზასელი დიადი

„კანზას სიტი როიალზის" ბეისბოლისტთა გუნდი მიესალმება თავის ლეგენდა-კაცს ჯორჯ ბრეტს, რომელსაც კომისარ ბად სელიგთან ერთად უჭირავს ბეისბოლის დიადების დარბაზის წევრობის დამადასტურებელი საბუთი. ცერემონიალი ნიუ იორკში, კუპერსტაუნში გაიმართა — იქ, სადაც დიდების დარბაზია წამოჭიმული. ბრეტს კარიერის მანძილზე 3,154 ჰითი გაუხერხებია და ყველა კანზასელთა რიგებში.

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3



# ბერძენთა სიხარული

ბერძენ მოსინქრონე გოგონებს მიხრა-მოხრა არ დაეწუნებათ. მათ სტამბოლში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავეს და თურქთა და ბერძენთა კატა-თაგვობანაც ხომ ცნობილია. ამიტომ, ბერძენთათვის მეხუთე ადგილი ორმაგად სასიხარულოა. ყველას თავისი ზეიმი აქვს. ოქრო რუსებმა მოიგეს და შეიფერეს კიდეც.



REUTERS სტამბოლიდან



REUTERS პარიზიდან

# არმსტრონგები!

„ტურ დე ფრანსი" ამერიკელმა მოიგო: ლანს არმსტრონგსა და მის ცოლ კრისტინას ხვევა-კოცნისა და სიხარულის დიდი საფუძველი აქვთ. ელისეს მინდვრებზე თავის მოწონება დიახაც რომ ღირსეულთა ხვედრია. კიბოს მძლეველმა არმსტრონგმა საუკეთესოდ და თანაბრად გაიარა წლევანდელი „ტურის" 3690 კილომეტრი და მთავარ მდევრებს, შვეიცარიელ ალექს ცულეს და ესპანელ ფერნანდო ესკარტინს აჯობა.



REUTERS ვინიპეგიდან

# თავდადებული

გახურებულა პანამერიკული თამაშები! ამ თამაშებში ისიც დაგვაინტერესებს, რომ თურმე შორეულ კოლუმბიაში ყოფილან ადამიანები, რომელთაც ჭიდაობა ისე ჰყვარებიათ, რომ მის გამო თავის გატეხვასაც არ დაერიდებიან. იქაური ფალავანი ლუის ისკერდო იმგვარი გაალმასებით ეკვეთა თავის ამერიკელ მოწინააღმდეგეს დავიდ ზუნიგას, რომ... შეხვედრაც წააგო და თავიც გაიტეხა.




REUTERS პარიზიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

ეროვნული ბიბლიოთეკა